სამოქალაქო პარტნიორობის კვლევა

EQUALITY MOVEMENT

ავტორი- თათია ქინქლაძე

კვლევა მომზადებულია თანასწორობის მოძრაობის ინიციატივით, "ევრაზიული კოალიცია მამაკაცთა ჯანმრთელობისთვის" (ECOM) ფინანსური მხარდაჭერით.

„თანასწორობის მოძრაობა" არის არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოში ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი, ტრანსგენდერი, ქვიარი და ინტერსექსი ადამიანებისა და ქალებისთვის თანასწორი უფლებებისა და შესაძლებლობების შექმნას; ლგბტქ თემისა და ქალების გაძლიერებით, ლგბტქ და ქალთა უფლებების შესახებ ცნობიერების ასამაღლებელი აქტივობების განხორციელებითა და მათი ინტერესების ადვოკატირებით ორგანიზაცია ხელს უწყობს ლგბტქ თემისა და ქალთა ინტეგრაციას საზოგადოებაში. „თანასწორობის მოძრაობა" უზრუნველყოფს სოციალურ და სამართლებრივ სერვისებს ლგბტქ თემისა და ქალების გაძლიერებისა და მობილიზაციისთვის, აგრეთვე ჩართულია საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებაში და ახორციელებს პოლიტიკის ადვოკატირებას. www.equality.ge

სარჩევი

შესავალი 2

I.ქორწინების და თანაცხოვრების ისტორიული განვითარება 5

II. ქორწინების ინსტიტუტი-კრიტიკული მოსაზრებები 10

III. თანასწორობის გააზრება თანამედროვე პოლიტიკურ თეორიებში 13

IV. ლგბტ პირთა პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება-საერთაშორისო გარანტიები 15

V. სამოქალაქო პარტნიორობა და ქორწინება 21

VI. ქორწინებისა და პირადი ცხოვრების დაცვის კონსტიტუციურ-სამართლებრივი გარანტიები 26

VII. ქორწინების სამოქალაქო-სამართლებრივი გარანტიები 33

VIII.დასკვნა 39

"თანასწორობას ხუთი გამოწვევა აქვს, რომლებსაც ჩვენი ცხოვრების ყველა ასპექტის შეცვლა შეუძლია- უფლება შიშისა და ცრურწმენის გარეშე გაზრდაზე, თავისუფალი და ღია შრომის უფლება, ოჯახის შექმნის უფლება, პარტნიორებსა და შვილებთან ერთად ცხოვრების უფლება. ყველა ჩამოთვლილი ადამიანის ძირითადი უფლებებია, რომლებიც დაცულია საერთაშორისო და შიდა სამართლით. ეს უფლებები ადამიანის არსებობის საფუძველია."

(Stonewall 1997)

შესავალი

უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში აქტიური დისკუსია მიმდინარეობს ლგბტ თემის წევრთა შორის არსებული ურთიერთობის სამართლებრივი მოწესრიგების აუცილებლობის შესახებ. აღნიშნული განაპირობა რიგ სახელწიფოებში რეგულაციების არსებობამ, რომელიც მათ უზღუდავდა ესარგებლათ ქორწინების ან ოჯახური ცხოვრების სხვა ალტერნატიული ფორმების არჩევის უფლებას. დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს იდეა მნიშვნელოვანად მიიჩნევს მოხდეს საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში ცალკეული ჯგუფების ინკლუზიური მონაწილეობა. აღნიშნული გამომდინარეობს არამხოლოდ თანასწორობის, ასევე დისკრიმინაციის აკრძალვის ფუნდამენტური პრინციპებიდან. ლგბტ პირებს შორის არსებული ურთიერთობები იმავე ხარისხით ექვემდებარება დაცვასა და აღიარებას, როგორც ნებისმიერი ჰეტერონორმატიული ურთიერთობა, განსაკუთრებით იმ ფონზე, როდესაც სულ უფრო მრავალფეროვანი ხდება ოჯახური ცხოვრების ფორმები და არანორმატიული - მისი გაგება. არსებული რეალობიდან გამომდინარე, ვალიდურია სახელმწიფოებმა დაიწყონ სამართლებრივი ჩარჩოს შეცვლა, რომელიც დაეფუძნება ადამიანის უფლებების პატივისცემის იდეას და აღნიშნული სამართლებრივი აღიარების გარეშე არ დატოვებს ერთი და იმავე სქესის მქონე პირებს შორის არსებულ ურთიერთობებს.

მიუხედავად იმისა, რომ დღეს აქტიურად მიმდინარეობს ქორწინების ინსტიტუტის კრიტიკა, განსაკუთრებით ლგბტ თემის წევრებს შორის, რადგან აღნიშნული ასოცირდება კონსერვატიული ძალაუფლების ფორმებთან, ამ პროცესში განსაკუთრებული როლი აკისრია

სახელმწიფოებს პატივი სცენ და შექმნან ოჯახის ცნების ახლებური გააზრება, რომელიც მრავალფეროვნებასა და პლურალიზმს დაეფუძნება.

ერთი და იმავე სქესის მქონე პირების დაცვა და მათთვის პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლებით სარგებლობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოში, სადაც არსებული სოციალური გარემო ლგბტ თემის წევრებს სისტემური ჩაგვრისა და ძალადობის რეჟიმში ამყოფებს. განსაკუთრებით, მწვავედ დგას ეს ქორწინების და ოჯახური ცხოვრების სხვა ალტერნატიული ფორმების თანასწორად, საზოგადოების ყველა წევრზე გავრცელების მოთხოვნისას. აღნიშნული საკითხი არაერთხელ გამხდარა სპეკულირების საგანიც, განსაკუთრებით წინასაარჩევნო პერიოდში პოლიტიკური პარტიების მიერ, რაც კიდევ უფრო ზრდიდა ჰომოფობიურ განწყობებს თემის წევრების მიმართ და ახალისებდა დისკრიმინაციულ განწყობებს საზოგადოებაში. ეს განსაკუთრებით ცხადი გახდა მიმდინარე საკონსტიტუციო რეფორმის ფონზე, რომლის დროსაც განახლდა დისკუსია ქორწინების კონსტიტუციურ-სამართლებრივი გარანტიების შესაცვლელად. აღნიშნულ ინიციატივა მმართველი პარტიის წევრებმა წარადგინეს სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიაში, რომლითაც ქორწინება ქალისა და მამაკაცის კავშირად იქნა აღიარებული, რაც ცალსახად უარყოფითად იქნა შეფასებული საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების მიერ.

ვენეციის კომისიის მოსაზრებებში, აღნიშნულია, რომ ქორწინების უფლების მარეგულირებელმა ნორმებმა არ უნდა დატოვოს ერთი და იმავე სქესის მქონე წყვილები სამართლებრივი აღიარების გარეშე.[1] მსგავსი შეფასებებია გაკეთებული Amnesty International-ის 2018 წლის ანგარიშშიც.[2] კვლავ პრობლემას წარმოადგენს ერთი და იმავე სქესის მქონე პირთა ქორწინების ან ოჯახური ცხოვრების სხვა ალტერნატიული ფორმების საკანონმდებლო დონეზე აღიარების საკითხი.

წინამდებარე კვლევა მიზნად ისახავს შეისწავლოს ის სამართლებრივი გარანტიები, რომლებიც საქართველოში ქორწინებასთან დაკავშირებულ საკითხებს აწესრიგებს. ამასთან,

---

[1] იხ. CDL-AD(2017)013-e Georgia - Opinion on the draft revised Constitution;

[2] იხ. ინფორმაცია: https://www.amnesty.org/download/Documents/POL1067002018GEORGIAN.PDF, 2/25/2019;

შეისწავლოს ქორწინებისა და ოჯახური ცხოვრების ალტერნატიული ფორმები, მათი განვითარების ისტორია.

კვლევის ფარგლებში მიმოხილულია, ერთი მხრივ, ქორწინების და სამოქალაქო პარტნიორობის ალტერნატიული ფორმები და ის ძირითადი თეორიები, რომლებიც სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებებში, ასევე საერთაშორისო სამართალში გამოიყენება ქორწინების, სამოქალაქო პარტნიორობისა თუ თანაცხოვრების ცნების განმარტებისას.

კვლევის ფარგლებში მოხდა ქორწინების სამართლებრივი მოწესრიგების არსებული ნორმატიული ჩარჩოს ანალიზი, ასევე საერთაშორისო სტანდარტების შესწავლა და რელევანტური სასამართლო გადაწყვეტილებების მიმოხილვა. სამოქალაქო პარტნიორობასა და ქორწინებასთან დაკავშირებით საერთაშორისო გამოცდილების კვლევა მიზნად ისახავს, საერთაშორისო სტანდარტების გაანალიზებასა და პრობლემის გადასაჭრელად არსებული გზების მოსაძიებლად დისკუსიის დაწყებას, აგრეთვე, ერთი და იმავე სქესის მქონე პირთა ოჯახური და პირადი ცხოვრების დასაცავად საუკეთესო პრაქტიკის დაკვიდრებას, რაც გრძელვადიან პერსპექტივაში ხელს შეუწყობს იმ ბარიერების აღმოფხვრას, რომლებიც ლგბტ+ პირებს საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში ინკლუზიური მონაწილეობის უფლებას უზღუდავს.

I. ქორწინების და თანაცხოვრების ისტორიული განვითარება

ქორწინების კონცეფცია საუკუნეების განმავლობაში იცვლებოდა. ბიბლიურ დროში ფართოდ ვრცელდებოდა ***პოლიგინიური*** ურთიერთობები, რომლისთვისაც დამახასიათებელი იყო ქორწინების პირობებში ერთზე მეტი მეუღლის ყოლა. მე-19 საუკუნეში ეს ტრადიცია დამკვიდრდა აშშ-ში მორმონების მიერ და ისლამური კულტურის გავლენის მქონე საზოგადოებებში. ***პოლიანდრია*** - ქორწინების პირობებში ერთ ქმარზე მეტის ყოლა, ძირითადად გავრცელდა შუა აზიაში, განსაკუთრებით, ტიბეტში, შრი ლანკასა და სამხრეთ ინდოეთში. ძველ რომში საქორწინო ხელშეკრულებით შესაძლებელი იყო ერთი და იმავე ასაკის მამაკაცების შესვლა ქორწინებაში, თუმცა ასეთი კავშირების არსებობა დაცინვის საგანი ხდებოდა. 1753 წელს ინგლისში ქორწინების შესახებ აქტი გამოიცა, რომლითაც მოხდა ინდივიდების ქორწინების რეგულირება, რომლის განხორციელებაშიც ეკლესია კანონის საფუძველზე მონაწილეობდა. მოგვიანებით, ეს აქტი ძალადაკარგულად იქნა ცნობილი. 1836 წელს მიიღეს მორიგი აქტი ქორწინების შესახებ, რომელიც ქორწინებას რელიგიურ რიტუალებს არ უკავშირებდა. [3]

აშშ-ის ცალკეულ შტატებში აქტიურად მიმდინარეობდა ბრძოლა ლგბტ+ თემის წევრებისთვის ქორწინების უფლების სამართლებრივი რეალიზებისთვის. აშშ-ში ქორწინების ცნების შესახებ აქტიური დისკუსია დაიწყო ლგბტ+ პირთა უფლებების დასაცავად შექმნილი სოციალური მოძრაობის მიერ. 1953 წელს, პირველად, ამერიკულ ჟურნალში One, რომელიც ძირითადად სექსუალური უმცირესობების თანასწორი მონაწილეობის საკითხებზე აქვეყნებდა სხვადასხვა შინაარსის ნარკვევებს ქორწინების საკითხს მიუძღვნა ესე, სადაც განხილულია ერთი და იმავე სქესის მქონე პირთა სამართლებრივი ურთიერთობების ლეგალურად მოწესრიგების საკითხი. მოგვიანებით, 1970 წლის დასაწყისში, აშშ-ში, ლგბტ წყვილებმა ქორწინების რეგისტრაციის მოთხოვნის მიზნით აქტიურად დაიწყეს მარეგისტრირებელ ორგანოებში განაცხადის წარდგენა. 1975 წელს კოლორადოს შტატის კლერკმა, რომლიც იმავდროულად

---

[3] იხ. AMERICAN BAR ASSOCIATION SECTION OF FAMILY LAW Source: Family Law Quarterly, Vol. 38, No. 2(Summer 2004), pp. 339-425, A White Paper: An Analysis of the Law Regarding Same-Sex Marriage, Civil Unions, and Domestic Partnerships, გვ. 344;

ადგილობრივი ქალთა ორგანიზაციის პრეზიდენტი იყო, აშშ-ში პირველად გასცა ერთი და იმავე სქესის მქონე წყვილებზე ქორწინების ლიცენზია, რომელიც მოგვიანებით შტატების მთავარმა პროკურორმა ბათილად ცნო. 1975 წელს, ვაშინგტონში, საკრებულოს წევრებმა ქორწინების რეფორმის კანონპროექტი მოამზადეს. კანონპროექტი ითვალისწინებდა გენდერულად ნეიტრალური ნიშნით ქორწინების უფლების მიღებას.[4]

90-იანი წლების შუა ხანებში ქორწინების უფლებისთვის ბრძოლა განსაკუთრებით აქტიურ ფაზაში შევიდა. სოციალური მოძრაობა, რომელიც ჰეტეროსექსუალი წყვილების მსგავსად ლგბტ წყვილებზე ქორწინების ინსტიტუტის გავრცელების ითხოვდა, მთავარ არგუმენტად ასახელებდა თანასწორობის პრინციპს და აცხადებდა, რომ უმცირესობებს ისევე, როგორც საზოგადოების სხვა წევრებს უნდა ჰქონოდათ შესაძლებლობა თავისუფლად შესულიყვნენ ნებისმიერ სამართლებრივ ურთიერთობაში, მათ შორის, საოჯახო ურთიერთობებში. თუმცა ამ მოსაზრების საწინააღმდეგოდ ქვიარ აქტივისტების ნაწილი ქორწინებას განიხილავდა კონსერვატიულ ინსტიტუტად, რომელიც ვერ იქნებოდა ლგბტ+ პირებისთვის სარგებლის მომტანი, განსაკუთრებით მათთვის, ვინც არ იყო დაინტერესებული ქორწინებიდან ფინანსური სარგებლის მიღებით. აღნიშნული მეტწილად გადაფარა იმ პერიოდში გააქტიურებულმა არაერთმა ლგბტ+ უფლებების დაცვისთვის შექმნილმა მოძრაობამ, რომლებიც ქორწინებას პოლიტიკურად მნიშვნელოვან საკითხად მიიჩნევდნენ.

ჰავაის უზენაეს სასამართლოში ,,ბაერი ლევინის წინააღმდეგ“ საქმის თავდაპირველი წარმატების შემდეგ, სოციალური მოძრაობის წევრებს, რომლებიც ღიად ლობირებდნენ ქორწინების ლეგალიზაციას, ოპტიმიზმის მიზეზი გაუჩნდათ. ამ პროცესის პარალელურად სასამართლო დარბაზის მიღმა აქტიურად მიმდინარეობდა ჰომოფობიური გამოსვლები. აშშ-ს კონგრესმა ქორწინების კანონი მიიღო, რომელიც 1998 წელს ჰავაის შტატში გამართული რეფერენდუმის ძალით ძალადაკარგულად გამოცხადდა. საკანონმდებლო ხელისუფლებას კი ამ პროცესში დაეკისრა კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის ფუნქცია. იგივე ცვლილება მოხდა

[4] იხ. Carlos A. Ball, After Marriage Equality The Future of LGBT Rights, New York, 201 P.1

ალასკაზე, რის საფუძველზეც ქორწინება ჰეტეროსექუალ წყვილებს შორის კავშირად განისაზღვრა. [5]

1997-2000 წლებში ამერიკის 14 შტატში, მათ შორის, კალიფორნიის, მინესოტისა და ვაშინგტონის შტატებში, ამოქმედდა ნორმები, რომლებითაც ერთი და იმავე სქესის მქონე წყვილებს შორის ქორწინება აიკრძალა. ამის პარალელურად, ცალკეული შტატების უზენაესმა სასამართლოებმა, მათ შორის, 2003 წელს მასაჩუსეტსის შტატის უზანაესმა სასამართლომ მთავრობას მოსთხოვა კონსტიტუციით დაედგინა ერთი და იმავე სქესის მქონე წყვილებს შორის ქორწინების შესაძლებლობა. მსგავსი სტანდარტები განსაზღვრეს კალიფორნიის, ნიუ-იორკისა და ვაშინგტონის უზენაესმა სასამართლოებმა.[6] აღსანიშნავია, რომ სწორედ მასაჩუსეტსი იყო აშშ-ს ის შტატი, სადაც ისტორიულად პირველად მოხდა ერთი და იმავე სქესის მქონე პირებს შორის ქორწინების სამართლებრივი აღიარება. აღნიშნულმა პროცესმა მოგვიანებით ქორწინების უფლების მოსაპოვებლად წარმოებული ბრძოლის პროცესში პრინციპული როლი ითამაშა არა მხოლოდ აშშ-ის ცალკეულ შტატებში, არამედ სხვა სახელმწიფოებშიც.[7]

მედიამ განსაკუთრებული გავლენა მოახდინა საერთაშორისო დისკურსის ჩამოყალიბებაზე, რომლითაც დაიწყო პოლიტიკური და მორალური დებატები არაჰეტერონორმატიული ურთიერთობების შესახებ. სკანდინავიის ქვეყნები იყვნენ ერთ-ერთი მოწინავე ევროპის რეგიონში, სადაც კანონმდებლობაში სოციალ-დემოკრატიული ცვლილებების ტალღის განხორციელების შემდეგ ლგბტ+ წყვილების სამოქალაქო პარტნიორობის აღიარება მოხდა. ამის პარალელურად, ჰავაიში აქტიური დისკუსიები მიმდინარეობდა ლგბტ+ პირთა ქორწინების უფლების მოსაპოვებლად. 1999 წლის ბოლოს

---

[5] მ. უორნერი, ნორმალური თუ უფრო ნორმალური, გვ. 3, 8.19.2019, https://www.scribd.com/document/415182619/%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%98%E1%83%99%E1%83%9A-%E1%83%A3%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%A3%E1%83%A4%E1%83%A0%E1%83%9D-%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98?fbclid=IwAR3xMe1yo6-yP1Kvvgns3P5b20uuakD2HcqD0VQ4Eg0g2ZA3jPsRneEpDzo

[6] იქვე, გვ. 16.

[7] Pamela J. Lannutti, PhD Boston College, The Influence of Same-Sex Marriage on the Understanding of Same-Sex Relationships, Journal of Homosexuality, Vol. 53(3) 2007 Available online at http://jh.haworthpress.com, გვ. 136.

საფრანგეთში გამოიცა ,,სოლიდარობის შესახებ პაქტი", რომელმაც ერთი და იმავე სქესის მქონე წყვილთა ქორწინებასთან, ოჯახურ ურთიერთობებთან დაკავშირებით მნიშვნელოვან შეკითხვებს უპასუხა. ბრიტანეთშიც კი, სადაც სხვა სახელმწიფოებთან შედარებით დემოკრატიის ხარისხი გაცილებით მძლავრი იყო, წლების განმავლობაში ლგბტ+ აქტივისტების მიერ წარმოებული კამპანიის მოთხოვნებს აქტიურად უპირისპირდებოდნენ ჰეტერონორნატიული ოჯახური ღირებულებების დამცველები. 1980 წელს ბრიტანელმა ლესბოსელთა და გეი უფლებების ლობირებისთვის შექმნილმა ჯგუფებმა სამართლიანობისა და თანასწორობისთვის კამპანია დაიწყეს. თანასწორობის დღის წესრიგი სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხებს აერთიანებდა, რომელთა შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ერთი და იმავე სქესის მქონე პარტნიორების თანასწორი აღიარება და დაცვა, ლესბოსელებისა და გეების მშობლების და მათი შვილების თანასწორი აღიარება და პატივისცემა. [8]

ერთი და იმავე სქესის მქონე პირთა შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობის აღიარება პირველად სკანდინავიის ქვეყნებში მოხდა. 1989 წელს, დანია იყო ერთ-ერთი პირველი ქვეყანა, რომელმაც რეგისტრირებული პარტნიორობის შესახებ კანონი მიიღო. აღნიშნული აქტი ექსკლუზიურად განსაზღვრავს ერთი და იმავე სქესის მქონე პირების სოციალურ და სამართლებრივ სტატუსს ქორწინების შემთხვევაში. მიუხედავად ამისა, ერთი და იმავე სქესის მქონე პირებს არ აქვთ შვილების აყვანის და ლუთერულ ეკლესიაში საქორწინო რიტუალებში მონაწილეობის მიღების უფლება. ერთი და იმავე სქესის მქონე პირთა ქორწინების რეგისტრაციისთვის ერთ-ერთი პარტნიორი უნდა იყოს დანიის მოქალაქე. 2009 წელს კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების საფუძველზე, ერთი და იმავე სქესის მქონე პირებს ექნებათ შვილების აყვანის შესაძლებლობა.[9]

ქორწინების და ოჯახის ალტერნატიული ფორმები ნელ-ნელა წარმოიშვა ოჯახის ინსტიტუტის კრიტიკის ფონზე. მე-19 საუკუნეში გავრცელებული მოსაზრების თანახმად, ოჯახი თანაცხოვრების უფრო კომუნალური ფორმით უნდა შეცვლილიყო. ამის კლასიკური მაგალითია, შეერთებულ შტატებსა და ინგლისში არსებული ონეიდას თემი, რომელიც ჯონ

---

[8] J. Weeks, B. Heaphy, C. Donovan, Same sex intimacies families of choice and other life experiments, London, 2001, გვ. 2.

[9] M. LeeEquality, Dignity, and Same-Sex Marriage, A Rights Disagreement in Democratic Societies, 2010, გვ. 16.

ჰამფრი ნოისის რწმენის საფუძველზე შეიქმნა და აღნიშნულ ურთიერთობებში თემში მცხოვრები ყველა კაცი და ქალი ერთმანეთზე იყო დაქორწინებული. 1960-იან წლებში განსაკუთრებით გააქტიურდა ისეთი კომუნების დაარსება, რომლებიც საფუძვლად სექსუალურ ურთიერთობებსა და ბავშვების აღზრდას ქადაგებდნენ. ამის პარალელურად დასავლური ცივილიზაციის გავლენის მქონე სახელმწიფოებში გაიზარდა იმ დაუქორწინებელი წყვილების რაოდენობა, რომლებიც თანაცხოვრებაში იმყოფებოდნენ. 1980-იან წლებში აშშ-ში ჩატარებული გამოკითხვის შედეგებმა აჩვენა, რომ ამ ტიპის ურთიერთობები ძირითადად კოლეჯში სწავლის პერიოდში და უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის გავრცელებული ფორმა იყო. გაერთიანებულ სამეფოში 1940-იან წლებში თანაცხოვრებაში 19%, ხოლო- 1960-იან წლებში დაბადებულ ქალთა ნახევარი ცხოვრობდა. თანაცხოვრების განსაკუთრებით მაღალი მაჩვენებელია სკანდინავიის ქვეყნებში. [10]

[10] ე. გიდენსი, სოციოლოგია, თბილისი, 2011, გვ. 204-205;

II. ქორწინების ინსტიტუტი-კრიტიკული მოსაზრებები

ქორწინება მნიშვნელოვან ინდივიდუალურ გადაწყვეტილებას და ადამიანის ფუნდამენტურ უფლებად მოიაზრება. საკითხს გადაწყვეტენ თუ არა ადამიანები ქორწინებას მნიშვნელობა არ აქვს, ამ უფლებით სარგებლობა ყველა ინდივიდმა უნდა შეძლოს. ტომ სტოდარდი,[11] რომელიც აქტიურად მუშაობდა ერთი და იმავე სქესის მქონე პირთა ქორწინების კამპანიაში 1989 წელს მნიშვნელოვნად ყურადღებას ამახვილებდა არა ქორწინების ინსტიტუტის, არამედ ქორწინების უფლების ქონის სურვილზე. სტონდარი აქტივისტების მოვალეობად თემის წევრებისთვის მაქსიმალურად ბევრი შესაძლებლობის შექმნას ასახელებდა, თუნდაც ისინი ქორწინების უფლებას არ დათანხმებულიყვნენ. ამ ინსტიტუტის მომხრეების ნაწილი ასევე ქორწინებას მიიჩნევდა, როგორც გეი და ლესბოსელი თემისთვის მრავალფეროვანი შესაძლებლობის შექმნის ერთ-ერთ გზად. მაიკლ უორნერის[12] სტატიაში "ნორმალური და უფრო ნორმალური" დასმულია კითხვა, არის თუ არა ქორწინება ინდივიდუალური აქტი, არჩევანი ან გემოვნების გამოხატულება. უორნერი ავითარებს მოსაზრებას, რომელიც შეუძლებლად მიიჩნევს ქორწინების საშუალებით პრივილეგიებით სარგებლობის შესაძლებლობას. უორნერის თქმით, სანამ ადამიანები ქორწინების უფლებით სარგებლობენ, სახელმწიფო ამ ინსტიტუტის მიღმა დარჩენილ სექსუალურ ცხოვრებას აკონტროლებს. თანამედროვე სამყაროში ქორწინება ლეგიტიმაციის ძირითადი ინსტიტუტი ხდება, რომლის საშუალებითაც სახელმწიფო

---

[11] ტომ სტოდარი იყო ცნობილი ადვოკატი და აქტივისტი, მან მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ლგბტ+ თემის წევრთა უფლებების უფლებების დაცვის, განსაკუთრებით კი აივ ინფექტციასთან დაკავშირებული სტიგმის შემცირების პროცესში. სტონდარი გახლავთ ნიუ-იორკში იურიდიული დახმარებისა და განათლების ფონდის დირექტორი 1986-1992 წლებში იბრძოდა სამუშაო ადგილზე დისკრიმინაციისა და ჯანმრთელობის უფლების დასაცავად. 1981 წელს სტოდარი იყო ნიუ-იორკის სამართლის სკოლაში კონსტიტუციური სამართლის კურსის ავტორი, რომელიც ლგბტ+ უფლებრივ საკითხს შეეხებოდა, რაც ერთ-ერთი პირველი კურსი იყო აღნიშნულ თემატიკაზე.

[12] მაიკლ უორნერი (დაიბადა 1958) არის ამერიკელი ლიტერატურათმცოდნე, სოციოლოგი. უორნერი არის არაერთი პუბლიკაციის ავტორი, რომელიც შეეხება, სექსუალობას, პოლიტიკასა და ქვიარ თეორიებს.

სუბიექტების სექსუალობაში ერევა. ეს არის ე.წ ,,კერძო ზონა", რომლის მიღმაც სექსი დაუცველი ხდება. [13]

გავრცელებული მოსაზრებები, რომელიც ერთი და იმავე სქესის მქონე პირთა ქორწინებას ეწინააღმდეგება, პირობითად შესაძლებელია ორ კატეგორიად დაიყოს, რომელთა ნაწილი თეოლოგიური ხასიათისაა და ძირითადად ბუნებითი სამართლის კონცეფციას ეფუძნება. აღნიშნული მიდგომები უარყოფენ ერთი და იმავე სქესის მქონე პირთა შორის კავშირის არსებობას და ქორწინებას განიხილავენ საეკლესიო ინსტიტუტად, რომელიც მხოლოდ ჰეტეროსექსუალი წყვილებისთვის უნდა იყოს დასაშვები. არათეოლოგიური ხასიათის მოსაზრებები ერთი და იმავე სქესის მქონე წყვილთა შორის ქორწინების დაშვების შემთხვევაში ხედავენ აღნიშნული ინსტიტუტის დაშვებით სოციალური ზიანის გავრცელების საფრთხეს. აღნიშნულ არგუმენტებს „სამართლიანობის არგუმენტით" ქორწინების ინსტიტუტის მომხრეები უპირისპირდებიან. ავტორთა ნაწილი მიიჩნევს, რომ თუ ჰეტეროსექსუალი წყვილების მსგავსი თავისუფლებით უნდა ისარგებლონ ერთი და იმავე სქესის მქონე წყვილებმა. შესაძლებელია არსებობდეს განსხვავებული პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური კონტექსტი, რომლითაც სამართლიანობის კონცეფცია განსხვავებულად იქნეს აღქმული, თუმცა ამის საპირისპიროდ არსებობს უნივერსალური მახასიათებლები, რომლებიც სამართლიანობის ცნებასთან არის დაკავშირებული და ქორწინების აკრძალვით არსებული დიფერენციაციების არსებობას გამორიცხავს.[14]

დემოკრატიულ სახელმწიფოებში მრავალფეროვნება ცენტრალურ ნორმატიულ ღირებულებას წარმოადგენს. ბოლო პერიოდში ემიგრაციისა და შიდა დივერსიფიკაციის ხარისხის ზრდამ უფრო მულტიკულტურული გახადა ცალკეული საზოგადოებები. თანამედროვე იდეები დემოკრატიის შესახებ არ არის ორიენტირებული შექმნას ჰომოგენური რეალობა, სადაც წაშლილი იქნება ეთნიკური, ლინგვისტური, რელიგიური თუ სხვა ცხოვრების სტილისთვის დამახასიათებელი მრავალფეროვნებები, არამედ ის ითხოვს აღნიშნული ღირებულებების დაცვასა და აღიარებას. მიუხედავად იმისა, რომ სოციალური და ეკონომიკური თანასწორობა

---

[13] მ. უორნერი, ნორმალური და უფრო ნორმალური , სტატია ხელმისაწვდომია: http://www.equality.ge/4116, გვ. 8, 9.23.2019.

[14] J. Spiegel, why same-sex marriage is unjust, Think Summer 2016 #,81, გვ. 1.

ზოგად მიზანს წარმოადგენს, ის ახლა კულტურულ დემოკრატიას უთმობს ადგილს. ერთი და იმავე სქესის მქონე პირთა ქორწინების აღიარება ხშირად დაკავშირებულია მრავალფეროვნებასთან, როგორც ღირებულებასთან და ის ორ დონეზე ვითარდება- სოციალ-კულტურულ და ინსტიტუციურ. ორივე განზომილებას გააჩნია საკუთარი დინამიკა. ამათგან პოლიტიკური კულტურა მიეკუთვნება პირველ განზომილებას, რომელზეც გავლენას ახდენს ცალკეული ინსტიტუტების ფუნქციონირება. პოლიტიკური კულტურის მიდგომა გულისხმობს შემდეგს, რომ რწმენა, ღირებულება და რიგითი მოქალაქეების ქცევა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს დემოკრატიულ პროცესებზე. სისტემის სტაბილურობა და ეფექტურობა კი დამოკიდებულია რიგითი მოქალაქეებისა და არა მხოლოდ ელიტების ქცევასთან. [15]

მიუხედავად იმისა, რომ ქორწინებასთან დაკავშირებული დებატები პოლიტიკური, რელიგიური თუ აკადემიური ხასიათისაა, შესაძლებელია სამი განსხვავებული ხედვის იდენტიფიცირება, რომლებიც სოციალურ-კონსერვატიულ, კრიტიკულ ფემინისტურ/ქვიარ და ლესბოსურ/გეი თეორიებს ეფუძნება. სოციალურ-კონსერვატიული თეორიის მიმდევრები წუხილს გამოთქვამენ იმის გამო, რომ ერთი და იმავე სქესის მქონე პირთა შორის ქორწინების სამართლებრივი აღიარება შეარყევს ტრადიციული ნუკლიარული ოჯახის კონცეფციას. ფემინისტური/ქვიარ მიდგომა ერთი და იმავე სქესის მქონე წყვილთა ქორწინების დაშვების შემთხვევაში ხედავენ პატრიარქალური და ჰეტერონომატიული იდეების გაძლიერების საფრთხეს. სოციალურ-კონსერვატიული მიდგომის თანახმად, ქორწინება წარმოადგენს საზოგადოების საფუძველს. გენდერული კომპლემენტარობისა და მონოგამიური პარტნიორობის საფუძველზე ჰეტეროსექსუალური ქორწინება ითვლება ჯანსაღი, მორალური პატერნების ფორმირების წყაროდ. ამის საწინააღმდეგოდ ერთი და იმავე სქესის მქონე პირთა ქორწინება საფრთხეს უქმნის ტრადიციულ ნორმებს და მონოგამიასთან დაკავშირებულ პრაქტიკას. მეგი გალაგერი [16]წუხს იმის შესახებ, რომ ე.წ „უნისექსი ქორწინება“ მკვეთრად

---

[15] José Eduardo Jorge, Same-sex Marriage in Argentina, 2012, გვ. 5.

[16] მეგი გალაგერი (დაიბადა 1960 წლის 14 სექტემბერი) არის ამერიკელი მწერალი, სოციოლოგი, აქტივისტი. გალაგერმა დააფუძნა ქორწინებისა და პოლიტიკის ინსტიტუტი. იგი ასევე არის ქორწინების ეროვნული ორგანიზაციის (NOM) თანადამფუძნებელი, ადვოკატთა ჯგუფის წევრი, რომელიც ეწინააღმდეგება ერთი და იმავე სქესის მქონე პირების ქორწინებისა და პარტნიორობის იურიდიულ აღიარებას;

იმოქმედებს კულტურულ ნორმებზე და იმ ღირებულებებზე, რომელითაც მომავალი თაობის აღზრდა უნდა მოხდეს, რაც ასევე წაახალისებს განქორწინების შემთხვევებს. კრიტიკულ/ფემინისტური მიდგომის მიმდევრები, ერთი და იმავე სქესის მქონე პირთა ქორწინების შემთხვევაში ხედავენ ლგბტ+ თემის კოლონიზაციის, საზოგადოებაში არსებული გენდერული როლების ,,პატრიაქალური ოჯახის "გაძლიერების საფრთხეს. ჯონ ელია[17] აღნიშნავს, რომ გონივრულია იმის დაჯერება, რომ აღნიშნული წაახალისებს კონსერვატიულ გენდერული როლებს და გაიზრდება ჰეტეროსექსუალური კულტურის გავლენა. [18]

ერთი და იმავე სქესის მქონე პირთა ქორწინების მომხრეები ლიბერალური და უფლების დაცვის დისკურს ეფუძნება. აქ ქორწინება დაკავშირებულია ფართო სპექტრის სარგებლის მიღებასთან, რომლითაც ლესბოსელი და გეი წყვილები უფლებრივი თვალსაზრისით ისარგებლებენ, მათ შორის, აღსანიშნავია მემკვიდრეობის, ჯანმრთელობასთან და ბავშვის მოვლასთან დაკავშირებული შეღავათები. ისინი აღნიშნავენ, რომ ქორწინების ინსტიტუტი ერთი და იმავე სქესის მქონე წყვილებისთვის გარკვეული სარგებლის მომტანი იქნება.[19]

III. თანასწორობის გააზრება თანამედროვე პოლიტიკურ თეორიებში

არის თუ არა თანასწორობა გადაშენების საფრთხის წინაშე მდგომი პოლიტიკური იდეალი? კითხვა, რომელიც დვორკინმა დასვა აქტიური დისკუსიის საგანი გახდა სამეცნიერო აკადემიაში. ყველაზე გავრცელებული მოსაზრება, რომელიც თანასწორობის გააზრების დროს წარმოიშობა, არის მოსაზრება ***ფორმალური თანასწორობის,*** როგორც შესაძლებლობის შესახებ და თანასწორობის ***კორელაციური გაგება,*** რომელიც აქცენტს რესურსების გადანაწილებაზე აკეთებს და დემოკრატიული ინკლუზიურობის აუცილებლობიდან

---

[17] ჯონ პ. ელია (კალიფორნიის უნივერსიტეტი, 1997 წელი) არის ჯანდაცვის განათლების პროფესორი და ჯანმრთელობისა და სოციალურ მეცნიერებათა კოლეჯის ასოცირებული დეკანი სან – ფრანცისკოს სახელმწიფო უნივერსიტეტში. იგი არის არაერთი პუბლიკაციის ავტორი საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ისტორიის, მე – 20 საუკუნის შეერთებულ შტატებში არსებული სოციალური მოძრაობების, ჯანმრთელობისა და თანამედროვე სექსუალობის შესახებ. ელია გახლავთ ჟურნალ ჰომოსექსუალობის მთავარი რედაქტორი, მან გამოაქვეყნა მრავალი სამეცნიერო სტატია სექსუალობის შესახებ, გარდა ამის იგი არის სექსუალურ კვლევებში არაერთი წიგნის თანარედაქტორი.

[18] M. Bernstein, V. Taylor, The Marrying Kind? Debating Same-Sex Marriage within the Lesbian and Gay Movement, 2013, გვ. 378.

[19] იგივე. გვ. 380.

გამომდინარეობს. თანამედროვე პოლიტიკური თეორიები რესურსების უთანასწორო გადანაწილებაზე მეტად, ფოკუსირდება კულტურულ და პოლიტიკურ უთანასწორობაზე. ბრიტანეთში ჩატარებული ერთ-ერთი გამოკითხვის მიხედვით, მოსახლეობის ნაწილი სკეპტიკურად უყურებს იდეას თანასწორობის შედეგებთან დაკავშირებით. მათი დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ იდეა თანასწორი შესაძლებლობის შესახებ უფრო მეტ გარანტიას იძლევა იმისა, რომ რელიგიური უმცირესობები, ლგბტ+ თემის წევრები და საზოგადოებაში არსებული სხვა ჯგუფები, დაცული იყონ დისკრიმინაციისგან. ეკონომიკური, კულტურული და პოლიტიკური უთანასწორობის აღმოსაფხვრელად ყურადღების კონცენტრირება ძირითადად ხდებოდა მსგავსიდან განსხვავებულ ჯგუფების ძიებამდე. თანამედროვე თეორიები კი აქცენტს აკეთებს არა მსგავსებების პოვნაზე, არამედ საზოგადოებაში არსებული განსხვავებულ ჯგუფების პატივისცემაზე. [20]

მინიმალური სტანდარტი, რომელიც თანასწორობის პრინციპის საფუძველზე უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგია - დაუშვებელია პირს დაუწესდეს შეზღუდვები ძირითადი უფლებების რეალიზაციის დროს რასის, გენდერული იდენტობის, რელიგიისა და სხვა დისკრიმინაციული საფუძვლით. მეორე მხრივ, მნიშვნელოვანია, რომ ყველას ჰქონდეს მინიმალური შანსი შესაბამისი კვალიფიკაციის, უნარებისა და კომპეტენციის შესაძენად. [21]

თანასწორობის კონცეფცია დემოკრატიული სახელმწიფოს საფუძველი, ადამიანის ღირსების, პიროვნული თვითგამორკვევისა და ავტონომიის გარანტიაა.[22]ყველას, განსხვავების მიუხედავად, უფლება აქვს ისარგებლოს ადამიანის ფუნდამენტური უფლებებით, მათ შორის, კანონის წინაშე თანასწორი მოპყრობის, სხვადასხვა საფუძვლით დისკრიმინაციისგან დაცვის უფლებით. სახელმწიფოს ანტიდისკრიმინაციულმა პოლიტიკამ უნდა უზრუნველჰყოს ინდივიდების დაცვა დისკრიმინაციისგან. აღნიშნული უნდა გახდეს იმის გარანტი, რომ ლგბტ+ პირებმა თანასწორად ისარგებლონ ძირითადი უფლებებით.[23]

---

[20] J. DRYZEK, B. HONIG , A. PHILLIPS, POLITICA THEORY, the oxford handbook of POLITICAL THEORY, გვ.471;

[21] იქვე. გვ.475;

[22] Diane Richardson, Surya Monro, Sexuality, Equality and Diversity, გვ. 89.

[23] Equality and non-discrimination, https://www.unfe.org/wp-content/uploads/2017/05/Equality-and-Non-Discrimination.pdf

IV. ლგბტ+ პირთა პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება- საერთაშორისო გარანტიები

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი ოჯახური ცხოვრების სხვადასხვა ფორმას გამოჰყოფს და მათ დაცვას ფუნდამენტურ მნიშვნელობას ანიჭებს. მიუხედავად იმისა, რომ ცალკეული საზოგადოებრივი და კულტურული ნორმები შესაძლებელია განსხვავებულად წარმოაჩენდეს ოჯახსა და ურთიერთობებს, რომლებიც შეიძლება ამ პროცესში წარმოიშვას, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როცა საქმე ლგბტ+ პირთა შორის არსებულ ურთიერთობებს ეხება. ეს სახელმწიფოს არ ათავისუფლებს პასუხისმგებლობისგან, ერთი მხრივ, უზრუნველყოს მათი დაცვა, ხოლო, მეორე მხრივ, მართლზომიერად შეზღუდოს პირადი ცხოვრება, რომელიც კონკრეტულ ინტერესს უნდა ემსახურებოდეს. ამ პროცესში ცხადად გამოიკვეთა, რომ საერთაშორისო სამართალი ნაკლებ დროს უთმობს წევრი სახელმწიფოებისთვის ოჯახისა და მსგავსი ტიპის ურთიერთობებთან დაკავშირებით ერთიანი მიდგომის დაწესებას და აღნიშნულ დისკრეციას სახელმწიფოებს უტოვებს. ამასთან, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ტრიბუნალებმა, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს პრეცედენტული სამართალით დადგენილმა სტანდარტებმა არსებითი გავლენა მოახდინეს ცალკეული ქვეყნის საკანონმდებლო რეგულაციებსა თუ სასამართლო პრაქტიკაზე. [24]

ლგბტ+ ოჯახები საზოგადოების ისეთივე სრულფასოვანი წევრები არიან, როგორც ნებისმიერი ჰეტერონორმატიული ოჯახები. ეს განსაკუთრებით ხილვადია დასავლური ცივილიზაციების გავლენის მქონე სახელმწიფოებში. სახელმწიფოების დიდმა ნაწილმა კი ახლა გაიაზრა ეს რეალობა, რის შემდეგაც დაიწყო სამართლებრივი ჩარჩოს შექმნა, რომლითაც ეტაპობრივად ლგბტ+ ოჯახებისთვის თანასწორი გარემოს ფორმალიზება მოხდა. კანადის უზენაესმა სასამართლომ საქმეში ,,Heureux Dubé, J. in Miron v Trudel“ ოჯახი განმარტა, როგორც განსხვავებული ადამიანების განსხვავებული ურთიერთობა, რაც წარუმატებელს ხდის ოჯახის ტრადიციულ გაგებას მრავალი მიზეზიდან გამომდინარე, რომელთა შორის ყველაზე ვალიდურია კონცეფციები, რომლებიც ეფუძნება ადამიანის უფლებების იდეის დაცვასა და

[24] Loveday Hodson, Different Families, Same Rights? Lesbian, Gay, Bisexual and Transgender Families under International Human Rights Law, p.22

პატივისცემას. მიუხედავად იმისა, რომ ლგბტ ოჯახებმა აღმოაჩინეს, რომ ტრადიციული ოჯახის იდეა წარმოადგენს ძლიერი კონსერვატიული ძალის ნაწილს, მათ არ აქვთ შესაძლებლობა მოერგონ აღნიშნულს, რადგან ჯერ კიდევ ბევრი ლგბტ+ ოჯახი არის დისკრიმინირებული, მარგინალიზებული და გარიყული საზოგადოებიდან. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალს, რომელიც თანასწორობისა და ადამიანის ღირსების პატივისცემის ფუნდამენტურ პრინციპებს ეფუძნება, აკისრია მნიშვნელოვანი როლი, ახლებურად გაიაზროს ოჯახის ცნება, მკვეთრად გაემიჯნოს ოჯახის ტრადიციულ მოდელს და დაეფუძნოს მრავალფეროვნებასა და პლურალიზმს. [25]

პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება დაცულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით, რომელიც ორი ნაწილისგან შედგება. პირველი განსაზღვრავს უფლების არსს, რომელიც გარანტირებული უნდა იყოს სახელმწიფოს მიერ, ხოლო მე-2 პუნქტი, იქიდან გამომდინარე, რომ პირადი ცხოვრების უფლება აბსოლუტური არ არის ადგენს იმ შემთხვევებს, როცა შესაძლებელია კონვენციის მე-8 მუხლით დაცული უფლების შეზღუდვა. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლი იცავს არა მხოლოდ პირადი ცხოვრების, არამედ პიროვნების თავისუფალი თვითგამორკვევის უფლებას. აღნიშნული მუხლი ინდივიდებს შესაძლებლობას აძლევს, განსაზღვრონ სასურველი ფორმა, რომლითაც მოახდენენ საკუთარი იდენტობის საჯარო გამოხატვას. [26]

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია განიმარტოს სხვადასხვა სახის სქესობრივი ურთიერთობები ექცევა თუ არა პირადი ცხოვრების დაცვის სფეროში. აღნიშნულ კითხვაზე მნიშვნელოვანი განმარტება გააკეთა ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ საქმეზე "Dudgeon v. the United Kingdom". სასამართლომ მე-8 მუხლის დარღვევად მიიჩნია ადგილობრივ კანონმდებლობაში არსებული ჩანაწერი, რომელიც უკანონოდ თვლიდა ჰომოსექსუალურ ურთიერთობებს. [27]

---

[25] Loveday Hodson, Different Families, Same Rights? Lesbian, Gay, Bisexual and Transgender Families under International Human Rights Law, გვ.9

[26] Dr. Hannes Tretter, Artikel 8 EMRK als Grundlage eines individuellen Rechts auf zweisprachige Ortstafeln ?, გვ. 2.

[27] ბ. ბოხაშვილი, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი, თბ., 2004,

კონვენციის მე-8 მუხლის მიზნებისთვის მნიშვნელოვანია განიმარტოს თუ რა ტიპის ურთიერთობები შეიძლება მივიჩნიოთ ოჯახურ ცხოვრებად. საქმეზე „Marckx v. Belgium" წინააღმდეგ სასამართლომ განმარტა ოჯახური ცხოვრების არსებითი ასპექტები და აღნიშნა, რომ ოჯახური ურთიერთობისთვის მნიშვნელოვანია ინდივიდებს ჰქონდეთ ერთად ცხოვრების უფლება და ურთიერთობები, რომელიც ამ პროცესში წარმოიშობა განვითარდეს ისე, რომ მათ ჰქონდეთ ამ პროცესში ჰარმონიული გარემო. ოჯახური ცხოვრების კონცეფცია თავისი არსით ავტონომიური ხასიათისაა. შესაბამისად, ურთიერთობა, რომელიც ოჯახური ტიპის კავშირად შეიძლება განვიხილოთ მჭიდროდ არის დამოკიდებული ურთიერთობაში არსებულ პირებს შორის არა დე-ფაქტო, არამედ რეალური კავშირების არსებობაზე.[28] სასამართლო ასევე ოჯახურ ცხოვრებად მიიჩნევს ისეთი ტიპის ოჯახურ კავშირებს, როდესაც განმცხადებლები ერთად ცხოვრობენ სამართლებრივი აღიარების არ არსებობის პირობებში.[29] სხვა ფაქტორები, რომლებიც სასამართლო პრაქტიკით დადგინდა ეს არის ურთიერთობის ხანგრძლივობა და წყვილების შემთხვევაში გარკვეული ვალდებულებების არსებობა, იმ შემთხვევაში თუ მათ შვილები ჰყავთ. [30]

სასამართლოს დასაბუთებით, პირადი ცხოვრების კონცეფცია შეუძლებელია ამომწურავად განიმარტოს. აღნიშნული თავისი არსით გაცილებით უფრო ფართოა, ვიდრე პირადი ცხოვრების ინტიმური სფერო. პირადი ცხოვრება ეხება სფეროებს, რომლებიც ყველა ინდივიდს აძლევს შესაძლებლობას თავისუფლად და ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე განავითაროს პირადი ურთიერთობები. 1992 წელს ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ ზედმეტად რესტრიქტიული გახდებოდა პირადი ცხოვრება, რომ მის ფარგლები მხოლოდ ე.წ შიდა წრით შეზღუდულიყო, რომელშიც არ მოქცეულიყო ინდივიდების კავშირი გარე სამყაროსთან. ადამიანის უფლებების პატივისცემის უფლება მნიშვნელოვანი გარანტიაა, რომელიც ავსებს და ავითარებს ადამიანის ურთიერთობებს, აგრეთვე განსაზღვრავს ადამიანის არსებობისთვის მნიშვნელოვან გარანტიებს. [31]

---

[28] Paradiso and Campanelli v. Italy [GC], § 140), https://hudoc.echr.coe.int/eng#{%22itemid%22:[%22001-170359%22]} , 8. 22.2019.

[29] Johnston and Others v. Ireland, § 5, https://hudoc.echr.coe.int/eng#{%22itemid%22:[%22001-57508%22]}, 8.22.2019.

[30] Johnston and Others v. Ireland, § 56: http://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-57508

[31] U. Kikeli, The right to respect private and family life, გვ. 11.

აღსანიშნავია, რომ კონვენციის მე-8 მუხლის მიზნებისთვის არ არის დაცული მხოლოდ ქორწინებაზე დაფუძნებული ურთიერთობები, ურთიერთობა შესაძლებელია წარმოიშვას ქორწინების მიღმაც, მაგალითად მაშინ როცა პირები ქორწინების არარსებობის პირობებში ერთად ცხოვრობენ. [32] კოჰაბიტაციის შემთხვევაშიც კი ჯერ კიდევ არის საკმარისი საფუძველი ურთიერთობის ოჯახურ კავშირად განხილვისთვის, თუმცა სტაბილური ურთიერთობები კოჰაბიტაციისგან დამოუკიდებელად უნდა განიხილებოდეს. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში დე-ფაქტო ოჯახური ურთიერთობების აღიარება სამართლებრივად სპეციალური ცნობის და აღიარების საფუძველზე უნდა მოხდეს.[33]

მნიშვნელოვანი განმარტებები გააკეთა ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე allianatos and Others v. Greece წინააღმდეგ. სასამართლომ ერთი და იმავე სქესის მქონე წყვილების ურთიერთობა, რომლებიც სტაბილურ ურთიერთობაში არიან, მიიჩნია ოჯახურ ცხოვრებად და აღნიშნული გაუთანაბრა ჰეტეროსექსუალ წყვილებს შორის ურთიერთობას. ამ საკითხზე აქტიური მსჯელობა მოხდა პირველად საქმეზე Schalk and Kopf v. Austria-ის წინააღმდეგ. გამომდინარე იქედან, რომ ერთი და იმავე სქესის მქონე წყვილები ვერ სარგებლობდნენ მე-8 მუხლით დაცული ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლებით, აღნიშნული პირდაპირ განიმარტა, როგორც ოჯახური ცხოვრება, რაც კონვენციით დაცულ სიკეთეს წარმოადგეს. სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ ურთიერთობა ორ ქალს შორის, რომლებიც ერთად ცხოვრობდნენ და სამოქალაქო პარტნიორობაში იმყოფებოდნენ და ერთად ზრდიდნენ შვილს მიიჩნევა ოჯახურ ცხოვრებად ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის მიზნებისთვის. [34]

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ასევე მიიჩნია კონვენციის მე-14 და მე-8 მუხლების ერთობლივ დარღვევად საკანონმდებლო ბარიერის არსებობა, რომელიც ერთი და იმავე სქესის მქონე წყვილებს სამოქალაქო პარტნიორობაში შესვლის უფლებას უკრძალავდა. სასამართლოს განმარტებით, კონვენციის 19 ხელშემკვრელი სახელმწიფო ეროვნული

---

[32] CASE OF JOHNSTON AND OTHERS v. IRELAND, § 56, http://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-57508, 8.22.2019.

[33] Guide on Article 8 of the European Convention on Human Rights, ght to respect for private and family life, home and correspondence, Updated on 30 Apri2019, გვ. 52/123https://www.echr.coe.int/Documents/Guide_Art_8_ENG.pdf; 8.22.2019

[34] Valerie GAS and Nathalie DUBOISagainst France, http://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-103948; 8.22.2019.

კანონმდებლობით აღიარებს სამოქალაქო პარტნიორობას, მათი ნაწილი ქორწინებას, მხოლოდ ორმა სახელმწიფომ განსაზღვრა ქორწინება, განიხილავს როგორც ორ განსხვავებულ სქესის მქონე წყვილებს შორის კავშირად.[35]

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე Oliari and Others v. Italy მე-8 მუხლის შეუსაბამოდ მიიჩნია იტალიის კანონმდებლობაში სპეციალური რეგულაციის არსებობა, რომელიც ვერ უზრუნველყოფდა ერთი და იმავე სქესის მქონე პირების აღიარებას და დაცვას. აღნიშნულ საქმეში სასამართლომ აღნიშნა, რომ ევროსაბჭოს ფარგლებში 47 წევრი ქვეყნიდან 26 უკვე ჰქონდა მიღებული სამართლებრივი ნორმები, რომლებიც ერთი და იმავე სქესის მქონე წყვილებს შორის არსებულ სამართლებრივ ურთიერთობას აღიარებდა. აღნიშნულ საქმეში სასამართლომ ასევე განმარტა, რომ იტალიაში არსებული სოციალურ რეალობაში წარმოეშვათ პრობლემები იმ წყვილებს, რომლებიც ღია ურთიერთობაში იმყოფებოდნენ, რადგან მათ არ ჰქონდათ შესაძლებლობა უსაფრთხო და თანასწორ გარემოში ეცხოვრათ. სასამართლოს თქმით, ერთი და იმავე სქესის მქონე პირთა შორის არსებული ურთიერთობების დაცვა და აღიარება იტალიის სახელმწიფოსთვის განსაკუთრებულ ტვირთს არ წარმოადგენდა. ქორწინების არარსებობის პირობებში, განმცხადებლებს აღნიშნულ საქმეში ჰქონდათ განსაკუთრებული ინტერესი აერჩიათ სამოქალაქო პარტნიორობა ან კავშირი ურთიერთობის ფორმად, რადგან მათი მოსაზრებით ეს იქნებოდა ყველაზე შესაბამისი გზა, რომლის საშუალებითაც შეძლებდნენ არსებული ურთიერთობები იურიდიულად ეღიარებინათ და დაეცვათ.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალში დე-ფაქტო ოჯახური კავშირი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიზნებისთვის გაუთანაბრდა ქორწინებას და ნათესაურ კავშირს. მსგავსი მიდგომა მიუთითებს იმაზე, რომ ოჯახის განმარტება ინკლუზიურია და ეფუძნება სოციალურ რეალობას, არ არის შებოჭილი იმ განმარტებებით, რომელიც ეროვნულ კანონმდებლობაში არსებობს. განსაკურებით მნიშვნელოვანია აღნიშნული გავრცელდეს ლგბტ ოჯახებზე, რადგან ცალკეულ სახელმწიფოებში არსებული სიტუაცია არ

[35] Guide on Article 8 of the European Convention on Human Rights, ght to respect for private and family life, home and correspondence, Updated on 30 Apri2019, გვ. 52/123https://www.echr.coe.int/Documents/Guide_Art_8_ENG.pdf; 8.22.2019, გვ. 54.

არის მდგრადი. არაერთი სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტები მიანიშნებს იმაზე, რომ რიგ შემთხვევაში დე-ფაქტო ურთიერთობების გათანაბრება ოჯახთან არ ხდება.[36]

გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის განმარტებით, ოჯახის კონცეფცია ცალკეულ სახელმწიფოებში შესაძლებელია განსხვავდებოდეს. კომიტეტი სახელმწიფოს დისკრეციას ანიჭებს, ქვეყნის შიდა კანონმდებლობით განსაზღვროს ოჯახის ცნება. საქმეში Joslin et al v New Zealand კომიტეტმა განიხილა ორი ლესბოსელი ქალის საქმე, რომლებიც ერთად ცხოვრობდნენ და ზრდიდნენ შვილს. გამომდინარე იქედან, რომ კანონმდებლობით ქორწინების უფლება მხოლოდ ჰეტეროსექსუალი წყვილებისთვის იყო დასაშვები, მათ მარეგისტრირებელმა ორგანომ უარი უთხრა ქორწინების რეგისტრაციაზე. მათი განმარტებით, ურთიერთობის სამართლებრივად არაღიარება წარმოადგენდა დისკრიმინაციას, რამაც გამოიწვია მათი ქორწინების უფლების შეზღუდვა. აღნიშნულ საქმეზე ადამიანის უფლებათა კომიტეტმა განმარტა, რომ ერთი და იმავე სქესის მქონე წყვილებს არ ჰქონდათ ქორწინების უფლება. კომიტეტის თქმით, კანონმდებლობაში არსებული ტერმინები, რომელიც ქორწინების უფლებას მხოლოდ ,,ქალსა“ და ,,კაცს“ ანიჭებს სახელმწიფოს ანიჭებს ვალდებულებას მხოლოდ განსხვავებული სქესის მქონე წყვილების ქორწინების რეგისტრაცია მოახდინონ. აგრეთვე, ერთ-ერთ საქმეში კომიტეტმა ოჯახურ ურთიერთობებში შესვლა განმარტა, როგორც ერთად ოჯახის შექმნისა და ერთად ცხოვრების უფლებად, თუმცა, ეს პრინციპი წევრი სახელმწიფოების შიდა კანონმდებლობით ნებაყოფლობით უნდა დარეგულირდეს, რომ ერთი და იმავე სქესის მქონე წყვილებს ქორწინების უფლება ჰქონდეთ. კომიტეტმა ამავდროულად უარყოფითად შეაფასა ერთი და იმავე სქესის მქონე წყვილების ქორწინების უფლებაზე უარის თქმა.[37]

---

[36] .Hodson, Different Families, Same Rights? Lesbian, Gay, Bisexsual and Transgender Families, under international Humar Rights Law, IGLA-Europe, 2017, გვ. 27.

[37] L.Hodson, Different Families, Same Rights? Lesbian, Gay, Bisexsual and Transgender Families, under international Humar Rights Law, IGLA-Europe, 2017, გვ. 24.

V. სამოქალაქო პარტნიორობა და ქორწინება

სამოქალაქო პარტნიორობისა და ერთი და იმავე სქესის მქონე წყვილებს შორის ქორწინების გააზრებაზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა რიგმა ინტერდისციპლინურმა ნორმებმა, როგორებიცაა: პოლიტიკა და ადამიანის უფლებები, ფემინისტურმა და გენდერულმა თეორიებმა, სოციალურმა და ქვიარ ისტორიამ, ასევე სხვა ქვედისციპლინებმა. აღნიშნული ინსტიტუტის ანალიზის დროს წარმოიშობა სხვადასხვა მოსაზრება. პირველი, რომელიც თანასწორობის ინსტიტუციონალიზებული მიდგომიდან გამომდინარე აქცენტს აკეთებს სამოქალაქო პარტნიორობისა და ერთი და იმავე სქესის მქონე წყვილთა ქორწინებაზე და ხაზს უსვამს მათ როლს თანამედროვე ნეოლიბერალურ სოციალურ წესრიგში, ხოლო მეორე მხრივ კრიტიკული ხედვა აღნიშნული ინსტიტუტების შესახებ, რომელიც ქორწინებას განიხილავს, როგორც ჰეტეროსექსუალი ინსტიტუტის ნაწილად, რომლის როლი გამრავლებაა და ხშირად ასოცირდება ნეოლიბერალურ, პატრიარქალურ და ჰეტერონორმატიულ ან/და პოსტკოლონიური მართველების მოდელთან. ეს ანალიზი აჩვენებს, თუ რამდენადაა დაკავშირებული სამოქალაქო პარტნიორობა და ქორწინება კონტრ-ჰეგემონიურ ურთიერთობებთან და სექსუალობასთან. ქორწინება და ერთი და იმავე სქესის მქონე პირთა შორის კავშირი ნათლად წარმოაჩენს, თუ როგორ იზრდება მისი პრივატიზების ხარისხი. ***სამოქალაქო პარტნიორობა წარმოადგენს ერთ-ერთ განვითარებას, რომელიც უკავშირდება ოჯახს, ქორწინებას, კოჰაბიტაციას და სექსუალობას, ხოლო ქორწინება წარმოადგენს ინსტიტუციონალიზებულ იდეალებთან და კულტურულ ნორმებთან დაკავშირებულ ინსტიტუტს, რომელიც მეტწილად ჰეტეროსექსუალურ კონტექსტთან არის ასოცირებული გენდერული ნორმებისგან შედგება. სამოქალაქო პარტნიორობა ერთი და იმავე სქესის მქონე პირთა ქორწინების მსგავსად კონვენციური ურთიერთობის ერთ-ერთი სახეა, რომელიც პარტნიორების არჩევანზე, სურვილსა და საჭიროებებზეა დამოკიდებულებული. ქორწინება უფრო რეფლექსური პროექტია, რომელიც ინდივიდების როლს მასში უფრო სოციალურ რეპროდუქციასთან აკავშირებს, რაც პოსტკონვეციურ პრინციპად განიხილება. ქორწინების რეფლექსურობა სულაც არ წარმოადგენს უწყვეტი კრეატიულობის თუ სიცარიელის შევსების საშუალებას. სოციალური მოქმედება აქ მნიშვნელოვანი ტრადიციებითაა გაჟღენთილი,***

რომლიც ერთი თაობიდან მეორეს გადაეცემა. აქ იგი სვამს კითხვას, თუ როგორ ხდება კონვენციური და ტრადიციული ნორმების ასახვა ერთი და იმავე სქესის მქონე პირთა ურთიერთობებზე. [38]

ოჯახი არის ერთ-ერთი ყველა ძლიერი და გავრცელებული სიტყვა ჩვენს საზოგადოებაში, რომელიც სიმბოლური თვალსაზრისით აერთიანებს სხვადასხვა სოციალურ, კულტურულ და ეკონომიკურ ფაქტორს. ცნების გააზრების დროს ყოველთვის წარმოიშობოდა და წარმოიშობა ორაზროვანი შეხედულებები და მუდმივი პოლიტიკური შფოთვები „ოჯახის კრიზისის შესახებ". რიგ შემთხვევებში აღნიშნული გამოიყენებოდა, როგორც ტრადიციული ჰეტერონორმატიული ურთიერთობების აღსანიშნავად, თუმცა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მასში არაჰეტორნორმატიული ურთიერთობების თვითიდენტიფიცირება მოხდეს. მსგავსი ტიპის ურთიერთობები გაცილებით უფრო ფართოა, ვიდრე ჰეტერონორმატიული ურთიერთობები, რომელიც შეიძლება ქორწინების ან სხვა ტიპის კავშირის ფორმით არსებობდეს. ამ პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა მაინც იმ პატერნებს გააჩნია, რომლებიც მას კულტურული და სიმბოლური მნიშვნელობიდან გამომდინარე აქვს იმ ადამიანებისთვის, ვინც ამის ნაწილად მიიჩნევენ თავს. ყველას აქვს უფლება განსაზღვროს ურთიერთობის მნიშვნელობა და გადაწყვიტოს ვინ მიეკუთვნება მის ოჯახს. [39]

მოქალაქეობა მჭიდროდაა დაკავშირებული სექსუალურ იდენტობასთან, კერძოდ, პირის შესაძლებლობასთან მისი ურთიერთობა პარტნიორთან სამართლებრივად იყოს აღიარებული, მის უფლებებთან დაცული იყოს ნებისმიერი სახის დისკრიმინაციისგან, როგორც საჯარო, ასევე კერძო სივრცეებში, მათ შორის, გამოხატვის ნებისმიერი ფორმის არჩევისას. ამ პროცესში მნიშვნელოვანი როლი აკისრია სახელმწიფოს. მოქალაქეობის შესახებ გავრცელებული ნარატივები თავისი არსით ჰეტერონორმატიული ბუნებისაა. კეთილდღეობის სახელმწიფოს მოდელის მქონე ქვეყნებში განვითარდა პოლიტიკა, რომელიც ძირითადად დაეფუძნა ნუკლეარულ ჰეტერონორმატიულ მოდელს, სადაც დისკუსია ოჯახის შესახებ ასოცირდება ბიოლოგიურ რეპროდუქციასთან, რასაც შნაიდერი ემპირიულ კითხვას და არა უნივერსალურ

---

[38] Brian Heaphy, Reflexive convention: civil partnership, marriage and family, The British Journal of Sociology 2017, გვ. 5

[39] J. Weeks, B. Heaphy, C. Donovan, Same sex intimacies families of choice and other life experiments, London, 2001, გვ. 9.

ფაქტს უწოდებს. კროსკულტურულ კვლევებში ოჯახი მრავალფეროვანი ნათესაური კავშირის წარმოშობის ადგილს წარმოადგენს. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ჰეტეროსექსუალური ნუკლეარული ოჯახი წარმოადგენს ოჯახის მხოლოდ ერთ ფორმას. სოციალური კეთილდღეობის სახელმწიფოს მოდელი სულ უფრო და უფრო დგას აუცილებლობის წინაშე, თანამედროვე საზოგადოებაში ნათესაური კავშირის ფორმები უფრო მრავალფეროვანი გახადოს. ოჯახების მრავალფეროვნება აერთიანებს სხვადასხვა ტიპის კავშირებს, რომელთა შორის აღსანიშნავია ურთიერთობები, რომელიც წარმოიშობა მარტოხელა მშობელს, განქორწინებულ წყვილებს, ინტერგენერაციულ, გაფართოებულ ოჯახებს, მეგობრებს, როგორც ოჯახის წევრებს და სხვა კავშირებს შორის. ოჯახის ტიპების მრავალფეროვნებას, სწორედ ნუკლეარული ოჯახის მოდელის ნგრევამდე მივყავართ. მორგანი ცდილობს, დაამკვიდროს ტერმინი ,,ოჯახური პრაქტიკა", რომელიც ოჯახს იაზრებს, არა როგორც ტრადიციულ კულტურულ სტრუქტურულ კავშირს, არამედ ოჯახური კავშირები სწორედ ის ურთიერთობებია, რომელიც რეალურ ცხოვრებაში პრაქტიკულად წარმოიშობა. [40]

ქორწინება არის სამართლებრივი სტატუსის მქონე ინსტიტუტი, რომელიც აღიარებულია ევროკავშირის ყველა სახელმწიფოში. აქ იგულისხმება 28 წევრი სახელმწიფო, ასევე ისლანდიის რესპუბლიკა, ლიხტენშტაინი, ნორვეგია და შვეიცარია. პარტნიორობის ფორმები, როგორიცაა სამოქალაქო კავშირი, რეგისტრირებული პარტნიორობა და დე-ფაქტო კავშირები ქორწინებისგან განსხვავებულ წესებს ეფუძნება. ცალკეულ სახელმწიფოებში არსებული პრაქტიკა ქორწინებას სხვადასხვა სახის უფლებებსა და მოვალეობებთან აკავშირებს. სახელმწიფოებში ასევე არსებობს განსხვავებული ხედვა რელიგიური და სამოქალაქო ქორწინების შესახებ. მათი ერთი ნაწილი რელიგიურ რიტუალებს უთანაბრებს ქორწინებას, მეორე ნაწილი კი რელიგიური კავშირს იურდიულ მნიშვნელობას არ ანიჭებს. ევროკავშირის რიგი სახელმწიფოები უშვებს შესაძლებლობას, პირები იყვნენ პარტნიორობაში ქორწინების ან რეგისტრირებული პარტნიორობის არარსებობის პირობებში. სამოქალაქო პარტნიორობის შემთხვევაშიც საკუთრებას და ქონებრივ უფლებებთან დაკავშირებული საკითხები განსხვავებულ წესებს ეფუძნება. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სამოქალაქო კავშირი და პარტნიორობა

[40] P. Macmillan, Lesbian Motherhood, Gender, Families and Sexual Citizenship, 2009, გვ. 19.

ბევრ სახელმწიფოში უთანაბრდება ქორწინებას. რეგისტრირებული პარტნიორობა არ არის ევროკავშირის შემდეგ სახელმწიფოებში აღიარებული: ბულგარეთი, ლატვია, ლიტვა, პოლონეთი, რუმინეთი, სლოვაკეთი. [41]

აშშ-სა და მის ცალკეულ შტატებში ქორწინება, როგორც სოციალური და კულტურული ინსტიტუტი დაკავშირებულია ცალკეულ შემთხვევაში სხვადასხვა ხასიათის სარგებლის მიღებასთან, რომელიც როგორც პირადი, ასევე ქონებრივი ხასიათისაა. ამ უფლებების დიდი ნაწილი მიზნად ისახავს დაეხმაროს საქორწინო ურთიერთობაში მყოფ პირებს, მაშინ როცა საქორწინო ხელშეკრულებით და სხვა სამართლებრივი პროცედურების გამოყენებით ამ სარგებლის მიღება შეუძლებელი იქნებოდა. რაც შეეხება სამოქალაქო პარტნიორობას და კავშირს, ეს წარმოადგენს სპეციალურ სტატუსს და დაკავშირებულია განსხვავებულ უფლებებსა და მოვალეობებთან. რიგ შემთხვევაში აშშ-ში ამ ტიპის კავშირები არ უთანაბრდება ქორწინებას და ვერ იძლევა იმ სარგებლის მიღების შესაძლებლობას, რაც ქორწინების პირობებში არის შესაძლებლები.

სამოქალაქო პარტნიორობა და კავშირი წარმოადგენს ერთი და იმავე სქესის მქონე პირთა ხანგრძლივი ბრძოლის შედეგს. კოლორადოში, ჰავაისა და ნიუჯერსიში ერთი და იმავე სქესის მქონე პირებს აქვთ როგორც ქორწინების, ასევე სამოქალაქო პარტნიორობაში შესვლის უფლება. კალიფორნიაში, ორეგონში, ნევადასა და კალიფორნიაში სამოქალაქო პარტნიორობა უფლებრივი თვალსაზრისით გათანაბრებულია ქორწინებასთან. [42]

ბევრ ევროპულ სახელმწიფოში, განსაკუთრებით კი სამხრეთ ევროპაში, მაგალითად საბერძნეთსა და იტალიაში, მკაცრი წინააღმდეგობა არსებობდა ერთი და იმავე სქესის მქონე წყვილებს შორის სამართლებრივი ურთიერთობების იურიდიული აღიარების საკითხთან დაკავშირებით. ევროპის ცალკეული სახელმწიფოების სამართლებრივი რეჟიმის ანალიზიდან გამომდინარე შესაძლებელია გამოიყოს სამი ფორმა, რომელიც განსხვავდება ერთმანეთისგან ერთი და იმავე სქესის მქონე პირთა შორის არსებული ურთიერთობის სამართლებრივი

---

[41] იხ. ინფორმაცია: https://europa.eu/youreurope/citizens/family/couple/, 10.07.2019.

[42] იხ. ინფორმაცია: Marriage, Domestic Partnerships, and Civil Unions: Same-Sex Couples Within the United States, http://www.nclrights.org/wp-content/uploads/2013/07/Relationship_Recognition.pdf, 10.07.2019, გვ.1.

აღიარების არსებული რეგულაციებიდან გამომდინარე. ქვეყნები, რომლებიც ერთი და იმავე სქესის მქონე პირთა შორის არსებულ ურთიერთობას ფორმალურად, კანონმდებლობით აღიარებენ, თუმცა აღნიშნული უფლებრივი თვალსაზრისით არ უთანაბრდებიან ქორწინებას და შესაბამისად, აღნიშნული უფლებრივი თვალსაზრისით ნაკლები სარგებლის მიღების შესაძლებლობას იძლევა. ქვეყნები, სადაც ერთი და იმავე სქესის მქონე წყვილთა შორის არსებული ურთიერთობა ფუნქციურად ქორწინების მსგავსია და სახელმწიფოები, სადაც ერთი და იმავე სქესის მქონე წყვილებს აქვთ ჰეტეროსექსუალი წყვილების მსგავსად ქორწინების შესაძლებლობა. ზოგიერთ სახელმწიფოში, მაგალითად, დანიაში, ნორვეგიაში, შვედეთში ერთი და იმავე სქესის მქონე პირების ქორწინების სამართლებრივად აღიარების შემდეგ სამოქალაქო პარტნიორობა, როგორც ერთი და იმავე სქესის მქონე წყვილებს შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობის არსებული ფორმა გაუქმდა. აღნიშნული ცვლილების განხორციელება ორი მსგავსი სამართლებრივი რეჟიმის არსებობის აუცილებლობის არქონით აიხსნა, რადგან ქორწინება იქნა მიჩნეული ერთი და იმავე სქესის მქონე წყვილთა შორის არსებული ურთიერთობის სამართლებრივად აღიარებისთვის არსებულ საბოლოო ნაბიჯად. აღნიშნულ საკითხებზე იყო ასევე დისკუსია საფრანგეთში, დიდი ბრიტანეთსა და გერმანიაში. მიუხედავად იმისა, რომ ცალკეულ სახელმწიფოებში, სადაც ქორწინება და სამოქალაქო პარტნიორობა თითქმის გათანაბრებული იურიდიული ძალის მქონე ინსტიტუტებს წარმოადგენდა, მსჯელობდნენ სამოქალაქო პარტნიორობის აუცილებლობის შესახებ, რადგან ქორწინება სხვა არაფერია, თუ არა რეგისტრირებული პარტნიორობა. თუმცა ქორწინებასთან არის დაკავშირებული კულტურული და სოციალური ფაქტორების ფართო სპექტრი. [43]

ერთი და იმავე სქესის მქონე პირთა კავშირის სამოქალაქო პარტნიორობის ფორმით სამართლებრივად აღიარება სკანდინავიის ქვეყნებიდან იღებს სათავეს. აღნიშნული მოდელი დანიაში (1989), ნორვეგიაში (1993), შვედეთში (1995), ისლანდიაში (1996), ნიდერლანდებსა (1998) და ფინეთში (2002) ამოქმედდა. სკანდინავიის ქვეყნებში სამოქალაქო პარტნიორობის

[43] Jens M. Scherp, The Legal Recognition of Same-Sex Couples in Europe and the Role of the European Court of Human Rights, გვ. 83.

უფლებით სარგებლობენ ერთი და იმავე სქესის მქონე პირები, ხოლო ჰოლანდიაში აღნიშნული ასევე ვრცელდება განსხვავებული სქესის მქონე პირებზე. [44]

VI. ქორწინებისა და პირადი ცხოვრების დაცვის კონსტიტუციურ-სამართლებრივი გარანტიები

2016 წლის საპარლამენტო არჩევნების მოახლოებასთან დაიწყო აქტიური დისკუსია ქორწინების ცნების განსაზღვრის შესახებ. პრემიერ-მინისტრის მიერ 24 აგვისტოს გაკეთებული განცხადების თანახმად, „ქართული ოცნება“ არჩევნების შემდეგ აუცილებლად განახორციელებდა საკონსტიტუციო ცვლილებას, რომლიც ქორწინებას, ქალისა და მამაკაცის კავშირად განსაზღვრავდა. ამის პარალელურად საქართველოს პარლამენტს წარედგინა კონსტიტუციური კანონის პროექტი „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის შესახებ“, რომელიც პარლამენტის 80 წევრის მიერ იყო ინიცირებული. კანონპროექტის თანახმად, საქართველოს კონსტიტუციით ქორწინება უნდა განსაზღვრულიყო, როგორც ქალისა და მამაკაცის ნებაყოფლობითი კავშირი. კანონპროექტის განმარტებითი ბარათის მიხედვით, აღნიშნული ინიციატივის მიზანს წარმოადგენდა, საქართველოს კონსტიტუციის 36-ე[45] მუხლის პირველი ნაწილის უფრო მკაფიო ფორმულირების არსებობა, რაც მოხსნიდა ნორმის ინტერპრეტაციასთან დაკავშირებულ კითხვებსა და შექმნიდა კონსტიტუციისა და სამოქალაქო კოდექსით არსებულ ქორწინებისა და ოჯახის მკაფიო დეფინიციას.

28 მარტს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ სამოქალაქო ქორწინებასთან დაკავშირებით რეფერენდუმის დანიშვნის შესახებ წარდგენილი ინიციატივა დაარეგისტრირა. რეფერენდუმის დანიშვნის შემთხვევაში საქართველოს მოქალაქეებს მოუწევდათ შემდეგ შეკითხვაზე პასუხის გაცემა: „გინდათ თუ არა, რომ ერთნაირ სქესიანთა

---

[44] Yuval Merin, Equality for Same-Sex Couples The Legal Recognition of Gay Partnerships in Europe and the United States, გვ. 50.

[45] . შენიშვნა: საქართველოს კონსტიტუციის 36-ე მუხლის პირველი პუნქტი განსაზღვარვდა ქორწინების უფლებას

ქორწინება დაშვებულ იქნას საქართველოში?“ 30 ივლისს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ჯგუფის 200 000-ზე მეტი ხელმოწერის ნამდვილობა დაადასტურა და 1 აგვისტოს სარეფერენდუმო მასალები პრეზიდენტს გადაუგზავნა ხელმოსაწერად, თუმცა პრეზიდენტის გადაწყვეტილებით რეფერენდუმის დანიშვნის შესახებ არსებული აღნიშნული ინიციატივა უარყოფილ იქნა.

2016 წელს სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიაში კვლავ განახლდა დისკუსია კონსტიტუციის 36-ე მუხლში ცვლილებების განხორციელებასთან დაკავშირებით. აღნიშნულთან დაკავშირებით ინიციატივა წარადგინა პარლამენტის ორმა წევრმა, სოფიო კილაძემ და მანანა კობახიძემ. ინიციატივის თანახმად, ქორწინება უნდა განსაზღვრულიყო, როგორც ქალისა და მამაკაცის კავშირი ოჯახის შექმნის მიზნით, რომელიც ემყარება მეუღლეთა უფლებრივ თანასწორობას და ნებაყოფლობას. 2016 წელს მმართველი პარტიის მიერ სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიაში წარდგენილ აღნიშნულ ინიციატივას საქართველოს პარლამენტმა მხარი დაუჭირა, რაც ცალსახად უარყოფითად იქნა შეფასებული, როგორც საერთაშორისო, ასევე ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ.

აღნიშნული დისკუსიის პარალელურად საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 28 იანვარს კონსტიტუციური სარჩელით მიმართა გიორგი ტატიშვილმა. მოსარჩელე სადავოდ ხდიდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1106-ე მუხლის სიტყვების „ქალისა და მამაკაცის“ კონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის 36-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით. კონსტიტუციურ სარჩელის თანახმად, მოსარჩელე გაუმართლებლად მიიჩნევდა ერთი და იმავე სქესის მქონე პირთა ქორწინების დაკანონებას, თუმცა ამავე დროს მიუთითებდა, რომ არსებული დისკრიმინაციული რეჟიმი არღვევს იმ პირთა უფლებებს რომლებსაც ფაქტობრივად გააჩნიათ ოჯახისათვის დამახასიათებელი თანაცხოვრება. საკონსტიტუციო სასამართლომ მოსარჩელის მოთხოვნა დაუსაბუთებლად მიიჩნია და სარჩელი არ მიიღო არსებითად განსახილველად, რადგან სასარჩელო მოთხოვნის მიმართება საქართველოს კონსტიტუციის 36-ე მუხლის პირველ პუნქტთან ნაცვლად, მე-14 მუხლთან მიმართებაში დაინახა, რომლითაც კანონის წინაშე თანასწორობის უფლება არის დაცული.

ვენეციის კომისიის რეკომენდაციაში აღნიშნულია, რომ ქორწინების უფლების მარეგულირებელმა ნორმებმა არ უნდა დატოვოს ერთი და იმავე სქესის მქონე წყვილები სამართლებრივი აღიარების გარეშე. მსგავსი შეფასებებია გაკეთებული Amnesty International-ის 2018 წლის ანგარიშშიც.

მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოს აქვს ფართო დისკრეცია ქორწინების სამართლებრივი აღიარების პროცესში და ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს მიერ მიღებულ ცალკეულ გადაწყვეტილებებში აღნიშნულია, რომ ქორწინების სამართლებრივი მოწესრიგება სახელმწიფოს საკუთარი შეხედულებისამებრ შეუძლია. სტრასბურგის სასამართლომ კონვენციის მე-8 მუხლის, პირადი ცხოვრების, დარღვევად მიიჩნია ცალკეულ შემთხვევაში ეროვნულ კანონმდებლობაში ისეთი ნორმების არსებობა, რომელიც ერთი და იმავე სქესის მქონე წყვილებს სამართლებრივი დაცვისა და აღიარების გარეშე ტოვებდა. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე Schalk and Knopf v. Austria განმარტა, რომ ქორწინება მჭიდრო კავშირშია საზოგადოებაში არსებულ სოციალურ და კულტურულ კონოტაციებთან, რომლებიც შესაძლებელია სხვადსხვა საზოგადოებაში განსხვავებული დატვირთვის მქონე იყოს. ამ პროცესში განსაკუთრებული როლი აკისრია ადგილობრივ ხელისუფლებას, რომელმაც უნდა შეაფასოს საზოგადოების საჭიროებები და მოახდინოს მათზე სათანადო რეაგირება. მსგავსად საწინააღმდეგო სქესის მქონე პირებისა, ერთი და იმავე სქესის მქონე წყვილებს უფლება აქვთ ჰქონდეთ ურთიერთობა, რაც საკუთარ თავში მოიაზრებს ასევე იმის შესაძლებლობას, რომ მათი ურთიერთობების სამართლებრივად აღიარება მოხდეს.

2015 წლის გაეროს ადამიანის უფლებათა კომისრის ოფისის ანგარიშის მიხედვით, მსგავსი ტიპის ურთიერთობების არაღიარება და დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპის აღუსრულებლობა ხელს უწყობს ლგბტ წყვილების მარგინალიზაციას, მათ მიმართ არსებული სტიგმის გაღვივებასა და განსხვავებული მოპყრობის წახალისებას, როგორც კერძო ურთიერთობებში, ასევე სხვადასხვა სერვისის მიღების პროცესში.

2017 წლის მარტის მდგომარეობით, ევროპის **13** ქვეყანაში სამართლებრივად აღიარებულია ერთი და იმავე სქესის მქონე პირთა ქორწინება, ეს ქვეყნებია, ***ბელგია, დანია, ფინეთი, საფრანგეთი, ისლანდია, ირლანდია, ლუქსემბურგი, ნორვეგია, პორტუგალია,***

ესპანეთი, შვედეთი, გაერთიანებული სამეფო და ჰოლანდია, ხოლო დამატებით **14** ევროპული ქვეყანა აღიარებს სამოქალაქო პარტნიორობის სხვადასხვა ფორმას, ეს ქვეყნებია, ***ავსტრია, ხორვატია, კვიპროსი, ჩეხეთი, ესტონეთი, გერმანია, საბერძნეთი, უნგრეთი, იტალია, ლიხტენშტაინი, მალტა, სლოვენია, შვეიცარია და ანდორა.***

აგრეთვე, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სახელმწიფოები, რომლებსაც სურს ევროკავშირში გაწევრიანება უნდა აკმაყოფილებდნენ ე.წ კოპენჰაგენის კრიტერიუმებს, რომ უზრუნველყოფენ დემოკრატიის, კანონის უზენაესობის, ადამიანის უფლებებისა და უმცირესობების უფლებების დაცვას. ევროკაშირის წევრ სახელმწიფოებს ეკისრებათ არა მხოლოდ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციითა და გაეროს ადამიანის უფლებათა დეკლარაციით დადგენილი ძირითადი პრინციპების დაცვა, ასევე ევროპის საბჭოს თანასწორი მოპყრობის შესახებ 2000 წლის 7 ნოემბრის დირექტივით განსაზღვრული ძირითადი კრიტერიუმების ინკორპორირება ეროვნულ კანონმდებლობაში.

ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებით საქართველოს არ ეკისრება ერთი და იმავე სქესის მქონე პირთა ქორწინების რეგულირების ვალდებულება, თუმცა შეთანხმების თანახმად, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა. ანტიდიკრიმინაციული პოლიტიკა მიზნად უნდა ისახავდეს გენდერული თანასწორობის გაძლიერებას, მამაკაცსა და ქალს შორის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფას, ასევე, სექსუალური ორიენტაციის ნიადაგზე განხორციელებული უთანასწორობის წინააღმდეგ ბრძოლას.

არსებული კონსტიტუციური-გარანტიები ლგბტ პირებს ართმევს იმის შესაძლებლობას, რომ ქორწინების უფლებით ისარგებლონ, თუმცა მნიშვნელოვანია განიმარტოს შესაძლებელია, თუ არა მათ შეძლონ ქორწინების რეგისტრაციის არარსებობის პირობებში პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემით უფლებით სარგებლობა და რა ფორმით, მათ შორის რეგისტრაციის არარსებობის შემთხვევაში არის თუ არა შესაძლებელი ლგბტ+ თემის წევრებმა ისარგებლონ კანონმდებლობით გათვალისწინებული პირადი და ქონებრივი უფლებებით, რაც ქორწინების არსებობის პირობებში ჰეტერონომატიული ურთიერთობების პირობებში წარმოიშობა. აღნიშნული საკითხების განმარტებისთვის მნიშვნელოვანია განიმარტოს პირადი და ოჯახური

ცხოვრების დაცული სფერო და ის სამართლებრივი სიკეთეები, რომელიც აღნიშნული უფლების საფუძველზე წარმოიშობა.

საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლი ადგენს პირადი და ოჯახური ცხოვრების, პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლებების კონსტიტუციურ-სამართლებრივი გარანტებს. აღნიშნულის თანახმად, ადამიანის პირადი და ოჯახური ცხოვრება ხელშეუხებელია. ამ უფლებების შეზღუდვა კი დასაშვებია კანონის შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის ან სხვათა უფლებების დაცვის მიზნით. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საქმე, სადაც განიმარტა პირადი ცხოვრების არსი არის საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე – ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ. სასამართლომ აღნიშნულ გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ [...] პირადი ცხოვრება გულისხმობს ინდივიდის ცხოვრებისა და განვითარების კერძო სფეროს. უფლება პირად ცხოვრებაზე კი, ერთი მხრივ, ნიშნავს ინდივიდის შესაძლებლობას, პირადად, საკუთარი შეხედულებისამებრ, დამოუკიდებლად შექმნას და განავითაროს თავისი კერძო ცხოვრება, ხოლო, მეორე მხრივ, იყოს დაცული და უზრუნველყოფილი მის კერძო სფეროში სახელმწიფოს, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა პირების ჩარევისგან. შესაბამისად, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება უზრუნველყოფს პიროვნების თავისუფალ განვითარებას, რადგან საშუალებას აძლევს მას, კერძო სფეროში საზოგადოების ჩარევისა და ყურადღებისაგან თავისუფალ პირობებში მოახდინოს ინფორმაციის, მოსაზრებებისა და შთაბეჭდილებების გაცვლა-გაზიარება. ამ უფლების ფარგლებში «პირები უზრუნველყოფილი არიან ფიზიკური და მორალური ხელშეუხებლობის, სახელის, პირადი მონაცემების, საცხოვრებლის, ოჯახისა და სქესობრივი ცხოვრების საიდუმლოების, მიმოწერის და სატელეფონო საუბრის საიდუმლოების ხელშეუხებლობის და სხვა უფლებებით. განაპირობებს რა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების არსს, თითოეული მათგანი, იმავდროულად, დამოუკიდებელი შინაარსის მატარებელია.“[46]

---

[46] საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, ბათუმი, 2007 წელი 26 დეკემბერი, N1/3/407.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 19 დეკემბრის გადაწყვეტილებით საქმეზე საქართველოს მოქალაქე ლევან სირბილაძე საქართველოს პარლამენტის წინააღდეგ, სასამართლომ განმარტა, რომ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება ბევრი უფლებრივი კომპონენტისგან შედგება, რომლის შინაარსიც შეუძლებელია ამომწურავად განიმარტოს უფლების ფართო ხასიათიდან გამომდინარე. მსგავსი პრაქტიკა არის დადგენილი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცენტული სამართლით, რომელის არაერთ გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ პირადი ცხოვრების კონცეფცია არ ექვემდებარება ამომწურავად განმარტებას. სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ პირადი ცხოვრების ცალკეული საკითხები დაცულია კონსტიტუციის სხვადასხვა მუხლში.[47]

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ივნისის N1/2/458-ე განჩინებაში აღნიშნულია, რომ [...]საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლი არ მოიცავს პირადი ცხოვრების უფლების ყველა ასპექტს, და მათ შორის, ოჯახის წევრებთან ურთიერთობის საკითხს. ოჯახურ ურთიერთობებს, ისვე როგორც სხვა პერსონალურ კავშირებს ადამიანთა გარკვეულ წრესთან, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პიროვნების ავტონომიურობის, მისი თავისუფალი და სრულყოფილი განვითარების უზრუნველსაყოფად.“ [48]

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება ასევე მოიცავს პირის სქესობრივი ცხოვრების თავისუფლად წარმართვის შესაძლებლობას. აღნიშნულ საკითხს ასევე ეხება ევროპის მინისტრთა საბჭოს რეკომენდაცია CM/Rec(2010)5, რომელიც რეგისტრირებულ ქორწინებაში არმყოფი პირების უფლებრივ მდგომარეობას განსაზღვრავს და სახელმწიფოებს ავალდებულებს ის უფლებები და ვალდებულებები, რაც რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფ ჰეტეროსექსუალ წყვილებს აქვთ ასევე გავრცელდეს ერთი და იმავე სქესის მქონე პირებზე. რიგ შემთხვევებში ადამიანის უფლებათა ევროპულმა

[47] საქართველოს მოქალაქე ლევან სირბილაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, ქ. ბათუმი, 2008 წლის 19 დეკემბერი, N1/7/454, II;

[48] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინება, 2009 წელი 10 ივნისი, N1/2/458;

სასამართლომ დაადგინა ერთი და იმავე სქესის მქონე პირების რეგისტრირებული პარტნიორობის აკრძალვის გამო კონვენციის მე-14 მუხლის დარღვევა. [49]

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საქმე, რომელშიც მოხდა პირადი ცხოვრებისა და ოჯახური ცხოვრების გამიჯვნა, არის დიდი პალატის 2017 წლის გადაწყვეტილება პარადისო და კამპელი იტალიის წინააღმდეგ. აღნიშნულ საქმეში სასამართლომ აღნიშნა, რომ ოჯახური ცხოვრების არსებობა ან არარსებობა წარმოადგენს ფაქტობრივ კითხვას და კონვენციის მე-8 მუხლის მიზნებისთვის მნიშვნელობა ენიჭება ახლო ოჯახური კავშირის არსებობას, სადაც პირებს ურთიერთობა გააჩნიათ და არსებობს გარკვეული კავშირი ქორწინების გარეშე, რომელიც მდგრადობით ხასიათდება. პირადი ცხოვრების უფლება არ მოიცავს მხოლოდ ოჯახის შექმნის ან ოჯახური კავშირების დამყარების დაცვის მიზნით არსებულ ურთიერთობებს. [50]

პირადი და ოჯახური ცხოვრების განსაკუთრებული მნიშვნელობიდან გამომდინარე შეუძლებელია მოხდეს მისი ცალკეული ელემენტების ამომწურავი და ზუსტი განმარტება. აღნიშნული იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ ურთიერთობები, რომელიც წარმოიშობა ოჯახური ცხოვრების პროცესში დაცული იყო სახელმწიფოს მიერ და ნებისმიერ პირს ჰქონდეს დისკრიმინაციისგან თავისუფლად, როგორც მისთვის სასურველი ფორმის არჩევის, ასევე აღნიშნულ ურთიერთობაში შესვლის და პირადი უფლებების რეალიზაციის შესაძლებლობა. ლგბტ+ პირთა მიმართ მომეტებული ძალადობრივი, ჰომოფობიური და მტრული განწყობების ფონზე პრინციპული მნიშვნელობა აქვს, იმ პირობებში, როცა კონსტიტუციაში არსებული ჩანაწერი მათ ართმევს ქორწინებით სარგებლობის უფლებას, მათ შეძლონ ალტერნატიული ფორმების არჩევა. დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს იდეა ეფუძნება ცალკეული ჯგუფების თავისუფლებისა და პიროვნების ავტონომიურობის პრინციპებს. აღნიშნული კი წარმოუდგენელია იქნეს რეალიზებული, თუ პირებს არ ექნებათ მათთვის სასურველი ფორმით პირადი ცხოვრების წარმართვის შესაძლებლობა.

---

[49] ლ. ჯანაღანია, ლგბტი პირთა უფლებრივი მდგომარეობა საქართველოში, 2016, გვ. 38.

[50] ე.ლომთათიძე, ნ. ხანთაძე, დ. ზედელაშვილი, პირადი თავისუფლება და ავტონომია, 2018, გვ. 107.

VII. ქორწინების სამოქალაქო-სამართლებრივი გარანტიები

საქართველოს კონსტიტუციის მსგავსად, სამოქალაქო კოდექსი განმარტავს ქორწინებას, როგორც ოჯახის შექმნის მიზნით ქალისა და მამაკაცის ნებაყოფლობით კავშირს, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ქორწინების იურიდიულ რეგისტრაციას ახორციელებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ტერიტორიული სამსახურები. ქორწინებისთვის დადგენილია გარკვეული მოთხოვნები, საქორწინო ასაკი და დასაქორწინებელ პირთა შორის თანხმობა. კანონის მიხედვით, გარკვეული წინასწარი თანხმობა არ წარმოშობს ქორწინების ვალდებულებას და ეს არ შეიძლება გახდეს სასამართლოში სარჩელის წარდგენის საფუძველი. სამოქალაქო კოდექსის 1151-ე მუხლის საფუძველზე, უფლება-მოვალეობების წარმოშობას მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებული ქორწინების პირობებში უშვებს, რაც პირდაპირ წინააღმდეგობაში მოდის, როგორც თანასწორობის ფუნდამენტურ პრინციპთან, ასევე ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლებასთან. წყვილები, რომლებიც არიან ერთი და იმავე სქესის მქონე სამოქალაქო-სამართლებრივი ნორმები იმპერატიულად კრძალავს მათ საქორწინო-სამართლებრივ ურთიერთობაში შესვლას.[51]

ძირითადი სამართლებრივი აქტები, რომლითაც ხდება ქორწინების სამართლებრივი რეგისტრაცია არის საქართველოს სამოქალაქო კოდექსი და საქართველოს კანონი „სამოქალაქო აქტების შესახებ“. აღნიშნული განსაზღვრავს სამოქალაქო აქტების სახეებს, სამოქალაქო აქტის ჩანაწერში ცვლილებების შესწორებების, დაბადების, გარდაცვალების, შვილის აყვანის და სხვა მნიშვნელოვანი იურიდიული ფაქტის რეგისტრაციას. აღნიშნული სამართლებრივი აქტის მიზანია სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე ფიზიკური პირების, როგორც ქონებრივი, ასევე არაქონებრივი უფლებები დაცვას და მნიშვნელოვანი ფაქტები აღიაროს. მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, სამოქალაქო აქტების რეგისტრაციას ახორციელებს საქართველოს იუსტიციის სამინსიტროს მმართველობის სფეროში მოქმედი

[51] იხ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი,26/06/1997, პარლამენტის უწყებანი, 31, 24/07/1997;

საჯარო სამართლის იურიდიული პირი-სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო, რომელიც უფლებამოსილებას ახორციელებს ტერიტორიული ორგანოების მეშვეობით. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სამოქალაქო აქტის ჩანაწერისა და სამოქალაქო აქტის რეგისტრაციის დროს გაიცემა სპეციალური მოწმობა, რომლის ფორმები და რეკვიზიტები არის დამტკიცებული „სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოების შესახებ“ საქართველოს კანონის და იუსტიციის მინისტრის ბრძანების საფუძველზე. რეგისტრაციის დროს მარეგისტრირებელი ორგანო გასცემს სამოქალაქო აქტის რეგისტრაციის მოწმობას, რომელიც სამოქალაქო აქტების მონაცემთა ბაზაშია დაცული. [52]

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2012 წლის 31 იანვარი N18-ე ბრძანება ,,სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ“ დეტალურად განსაზღვრავს ქორწინებისა და განქორწინების რეგისტრაციის წესსა და პირობებს. სამოქალაქო კოდექსის მსგავსად, ქორწინების წარმოშობისთვის იურიდიულად მნიშვნელოვან ფაქტს წარმოადგენს სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოს მიერ მისი რეგისტრაცია. ამ შემთხვევაში პირები, რომლებსაც დაქორწინება სურთ ირჩევენ ქორწინების ადგილს, სადაც შესაძლებლობა აქვთ იურიდიული ფაქტი დაარეგისტრირონ. პენიტენციალურ დაწესებულებებში მოთავსებული პირების რეგისტრაცია დაწესებულებაში სპეციალურად გამოყოფილ ადგილას ხდება. აღნიშნული აქტი განსაზღვრავს ქორწინების პირობებს, კერძოდ ამისთვის აუცილებელია პირებს ჰქონდეთ საქორწინო ასაკი, რაც კანონმდებლობითაა დადგენილი და დაქორწინებულ პირებს შორის თანხმობა არსებობდეს. შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირების ქორწინება დაიშვება მზრუნველის წინასწარი წერილობითი თანხმობის, ხოლო ასეთის არარსებობის შემთხვევაში, კერძოდ თანხმობაზე უარის ან თანხმობის მიღების შეუძლებლობის შემთხვევაში, სასამართლოო გადაწყვეტილების საფუძველზე ხდება აღნიშნული ფაქტის რეგისტრაცია. ბრძანების მიხედვით დადგენილია ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოებები, კერძოდ ქორწინება არ დაიშვება იმ პირებს შორის, როცა ერთ-ერთი დაქორწინებულია სხვაზე, ასევე არსებობს პირდაპირი აღმავალი ან დაღმავალი შტოს შორის ნათესაური კავშირი, ასევე თუ ერთი მხარდამჭერის მიმღებია და არ დაუდია სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული

[52] საქართველოს კანონი სამოქალაქო აქტების შესახებ, საქართველოს პარლამენტი,20/12/2011;

საქორწინო ხელშეკრულება, თუმცა არც საქართველოს კანონი ,,სამოქალაქო აქტების შესახებ“ და არც ,,სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ“ იუსტიციის მინისტრის ბრძანება არ განმარტავს ქორწინების ცნებას. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ არც ქორწინების დამაბრკოლებელ გარემოებებშია მითითება სამოქალაქო კოდექსის 1106-ე მუხლზე, რომელიც მხოლოდ განსხვავებული სქესის მქონე პირებს შორის უშვებს ქორწინებას. შესაბამისად, ერთი და იმავე სქესის მქონე პირთა ქორწინების იურიდიული რეგისტრაცია სამართლებრივად შესაძლებელი იქნებოდა, რომ არა არსებულიყო ჩანაწერი სამოქალაქო კოდექსსა და კონსტიტუციაში. [53]

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1140-ე მუხლი განსაზღვრავს ქორწინების ბათილობის საფუძვლებს. აღნიშნულის თანახმად, ქორწინება შეიძლება იქნეს ბათილად ცნობილი თუ დარღვეულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1107-ე, 1108-ე და 1120-ე მუხლებით დაწესებული პირობები და ასევე ქორწინების რეგისტრაცია მიზნად არ ისახავდა ოჯახის შექმნას, ე.წ. ფიქციური ქორწინების შემთხვევაში. სამოქალაქო კოდექსის საფუძველზე ქორწინების ბათილობა ხდება სასამართლოს მიერ. ბათილობის საფუძვლებია დაქორწინებისთვის აუცილებელი პირობების, საქორწინო ასაკისა და ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოებების არსებობა.

სამოქალაქო კანონმდებლობა მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებული ქორწინების შემთხვევაში წარმოშობს იმ უფლებებსა და მოვალეობებს, რაც კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებულ ქორწინებასთან არის დაკავშირებული. საოჯახო ურთიერთობებში პირები მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი სტანდარტის საფუძველზე უნდა სარგებლობდნენ თანაბარი ქონებრივი და პირადი უფლებებით და მოვალეობებით. დაუშვებელია ქორწინებისა და მის შემდგომ უფლებების პირდაპირი ან არაპირდაპირი შეზღუდვა და მათთვის უპირატესობის მინიჭება წარმოშობის, სოციალური და ქონებრივი მდგომარეობის, რასობრივი და ეროვნული კუთვნილების, სქესის, განათლების, ენის, რელიგიისადმი დამოკიდებულის და სხვა გარემოებების გამო.

---

[53] იხ. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2012 წლის 31 იანვარი N18-ე ბრძანება ,,სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ;

რეგისტრირებული ქორწინების შემთხვევაში მხარეები სარგებლობენ პირადი და ქონებრივი უფლებებით. კერძოდ, ქორწინების შემთხვევაში პირებს წარმოეშობათ შვილების აღზრდის და ოჯახის სხვა საკითხების ერთად გადაწყვეტის, საცხოვრებელი ადგილის, საქმიანობისა და პროფესიის თავისუფლად არჩევის უფლება. ხოლო რაც შეეხება მეუღლეთა ქონებრივ უფლებების ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონება წარმოადგენს საერთო საკუთრებას თუ არ არსებობს საქორწინო ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც შეიძლება დადგინდეს სხვა დამატებითი გარემოებები. ასევე შესაძლებელია თანასაკუთრების წარმოშობა იმ შემთხვევაში თუ ერთ-ერთი პირი საოჯახო საქმიანობას ეწეოდა და არ ჰქონდა დამოუკიდებლად მუშაობის შესაძლებლობა. იმ შემთხვევაში თუ ქორწინების პირობებში არსებობს ქონება პირებს წარმოეშობათ მათი თავისუფალი ფლობის, სარგებლობისა და განკარგვის შესაძლებლობა. სამოქალაქო კოდექსის თანახმად, მატერიალური დახმარების მიღების უფლება ქორწინების შემთხვევაში მეუღლეების მოვალეობას წარმოადგენს. ასევე ქორწინების შემთხვევაში წარმოიშობა მემკვიდრეობის მიღების უფლება. პირველ რიგში ქორწინებაში მყოფი ერთ-ერთი პირის გარდაცვალების შემთხვევაში აღნიშნული უფლებით სარგებლობენ მისი შვილები, რომელიც მისი სიკვდილის შემდეგ დაიბადა და მეუღლე,[54]

საქმეში ციალა პერტია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ საქმეში მოსარჩელე ითხოვდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1151-ე მუხლის თანახმად, რომლის მიხედვით მეუღლეთა უფლება-მოვალეობები მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებული ქორწინების საფუძველზე წარმოიშობა, კონსტიტუციურობის შეფასებას საქართველოს კონსტიტუციის 2018 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქციის მე-7, მე-14 და 21-ე მუხლის პირველ პუნქტებთან. კერძოდ კონსტიტუციის მე-7 მუხლის თანახმად, სახელმწიფო ცნობს და იცავს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებს და თავისუფლებებს, როგორც წარუვალ და უზენაეს ადამიანურ ღირებულებებს, კონსტიტუციის მე-14 მუხლის იმჟამინდელი რედაქციით დაცულია თანასწორობის ფუნდამენტური პრინციპი, ხოლო 21-ე მუხლის პირველი პუნქტით აღიარებულია საკუთრებისა და მემკვიდრეობის მიღების უფლება. მოსარჩელე, 1985 წლიდან იმყოფებოდა არარეგისტრირებულ ქორწინებაში. მეუღლის

[54] იხ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი,26/06/1997, პარლამენტის უწყებანი, 31, 24/07/1997;

სამკვიდრო ქონება გადავიდა მის კანონიერ მემკვიდრეებზე. მოსარჩელემ აღნიშნული გადაწყვეტილება გასაჩივრა ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში 2017 წლის 29 სექტემბერს. სარჩელის საფუძველზე მოსარჩელე ითხოვდა სამკვიდრო მოწმობისა და ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობას, გარდაცვლილის მემკვიდრედ და ქონების მესაკუთრედ აღიარების თაობაზე, თუმცა სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე მოსარჩელეს დაეკარგა სამკვიდრო ქონების გამოთავისუფლება, რის თაობაზეც დავა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში მიმდინარეობს. მოსარჩელე აღნიშნული სარჩელის საფუძველზე ძირითადად ყურადღებას ამახვილებდა ოჯახური ცხოვრების უფლების მნიშვნელობაზე, მისი განმარტებით აღნიშნული მჭიდროდ არის დაკავშირებული მემკვიდრეობის უფლების საკითხებთან და არ უნდა იქნეს ვიწროდ განმარტებული. კერძოდ [...] აღნიშნული უფლებით დაცული სფერო დღეის მდგომარეობით, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის განვითარების კვალდაკვალ, განიმარტება განსხვავებულად და მოიცავს არამხოლოდ ურთიერთობებს, რომლებიც ემყარება რეგისტრირებულ ქორწინებას, არამედ, ასევე პირთა ფაქტობრივად თანაცხოვრებას, რომელიც შესაძლებელია დადასტურებულ იქნეს. შესაბამისად, მოსარჩელის მითითებით, მეუღლეთა უფლება-მოვალეობების წარმოშობისა და, მათ შორის, კანონით მემკვიდრეობის უფლებით სარგებლობისათვის მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს არა მხოლოდ თანაცხოვრების სამართლებრივი წესით რეგისტრაციას, არამედ ასევე მჭიდრო პირადი ურთიერთობების რეალურად არსებობის ფაქტს. სადავო ნორმა კი აღნიშნულის საპირისპიროდ, მეუღლეთა უფლება-მოვალეობებითა და მემკვიდრეობით მიღების უფლებით სარგებლობის შესაძლებლობას უზღუდავს მოსარჩელის კატეგორიის პირებს, რომლებიც მამკვიდრებელთან იმყოფებოდნენ არარეგისტრირებულ ქორწინებაში და, შესაბამისად, არღვევს საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულ მემკვიდრეობის საყოველთაო უფლებას."[55] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2019 წლის 28 მაისს აღნიშნული სარჩელი მიიღო არსებითაც განსახილველად, რის ფარგლებში სასამართლო იმსჯელებს რამდენად შეესაბამება კონსტიტუციას სამოქალაქო კოდექსის 1151 მუხლი, კერძოდ კონსტიტუციის მე-4 მუხლის მე-2

[55]ციალა პერტია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, №2/9/1351 , ბათუმი, 2019 წლის 28 მაისი;

პუნქტის პირველ და მე-2 წინადადებებთან და მე-11 და მე-19 მუხლების პირველ პუნქტებთან მიმართებით .

სამოქალაქო-სამართლებრივი ნორმები, რომელიც ქორწინების რეგისტრაციის წესს განსაზღრავს და ადგენს მასთან დაკავშირებულ უფლებებსა და მოვალეობებს მხოლოდ რეგისტრირებული ქორწინების არსებობის შემთხვევაში წარმოიშობა. არსებული რეგულაციების პირობებში, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კონსტიტუცია და საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დადგენილია პრაქტიკა პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლებას ფართოდ განმარტავს არ ცნობს ოჯახური ცხოვრების ალტერნატიულ ფორმებს. ამ პირობებში პრინციპული მნიშვენლობა აქვს საკონსტიტუციო სასამართლოს, განმარტოს ფაქტობრივი თანაცხოვრების არსებობის პირობებში იქნება თუ არა შესაძლებელი პირებმა ისარგებლონ ქონებრივი უფლებებით, რაც ქორწინების ფორმალურად რეგისტრაციის პირობებში შეიძლება წარმოშობილიყო. დღეს არსებული საკანონმდებლო გარანტიები, განსაკუთრებით კონსტიტუციაში არსებული ცვლილებების ფონზე ქმნის იმის საფუძველს, რომ კიდევ უფრო გაიზარდოს ქორწინების ჰეტერონორმატიული ბუნება საქართველოში, რაც გაზრდის ლგბტ თემის მიმართ მტრულ და ჰომოფობიურ განწყობებს. ამ პირობებში კი პრინციპულად მნიშვნელოვანია, დაიწყოს დისკუსია იმ გამომწვევებიდან გამომდინარე რომელიც მწვავედ დგას სოციალურ რეალობაში, რომელ მოდელს აირჩევს საქართველოს ლგბტ პირთა ოჯახური ცხოვრების დაცვის აუცილებლობიდან გამომდინარე, ქორწინებას თუ სამოქალაქო პარტნიორობას, რაც საკანონმდებლო დონეზე უნდა მოწესრიგდეს.

VIII. დასკვნა

ერთი რამ ცხადია, რომ არაჰეტეროსექსუალური პატერნების ფორმირება ნელ-ნელა ხდება ჰეტეროსექსუალურ საზოგადოებებში. ეს განსაკუთრებით ცხადად გამოიკვეთა ,,ოჯახურ ცხოვრებასთან“ მიმართებით, რაც უფრო ხილვადი გახდა რადიკალური, გრძელვადიანი პოლიტიკური, სოციალური და კულტურული ძვრების ფონზე. თანამედროვე საზოგადოებაში შექმნილი დისკურსი უფრო ღია და დემოკრატიული ურთიერთობებს ეფუძნება. სწორედ ამას უწოდებს გიდენსი ინტიმურობის ტრანსფორმაციას. ამ პროცესში სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ჰეტეროსექსუალობისა და ჰომოსექსუალობის ბინარული დაყოფის არსებობა და საზოგადოების მიერ არანორმატიული ხასიათის ურთიერთობების მნიშვნელობის აღიარება.

მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოს აქვს ფართო დისკრეცია ქორწინების სამართლებრივი აღიარების პროცესში, ერთი და იმავე სქესის მქონე წყვილებს შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობის არაღიარება კონვენციის მე-8 მუხლის, პირადი და ოჯახური ცხოვრების დარღვევად ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ არაერთ გადაწყვეტილებაში აღიარა. ქორწინების საკითხის მოწესრიგების პროცესში სახელმწიფოს აქვს ფართო დისკრეცია, ერთი მხრივ ადეკვატურად შეისწავლოს ის სოციალური თუ კულტურული რეალობა, რომელიც სხვადასხვა საზოგადოებისთვის შეიძლება იყოს დამახასიათებელი, ხოლო მეორეს მხრივ დაადგინოს ისეთი მოდელი, რომელიც აღნიშნული გარემოებაზე დაფუძნებულ სამართლებრივ გარანტიებს შექმნის, რაც უნდა დაეფუძნოს ადამიანის უფლებების პატივისცემის იდეას.

ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებით საქართველოს არ ეკისრება ერთი და იმავე სქესის მქონე პირთა ქორწინების რეგულირების ვალდებულება, თუმცა შეთანხმების თანახმად, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა. ანტიდიკრიმინაციული პოლიტიკა მიზნად უნდა ისახავდეს გენდერული თანასწორობის გაძლიერებას, მამაკაცსა და ქალს შორის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფას, ასევე,

სექსუალური ორიენტაციის ნიადაგზე განხორციელებული უთანასწორობის წინააღმდეგ ბრძოლას. [56]

სამოქალაქო-სამართლებრივი ნორმები, რომელიც ქორწინებას და მასთან დაკავშირებულ უფლებებს და მოვალეობებს ადგენს მხოლოდ რეგისტრირებული ქორწინების არსებობის შემთხვევაში წარმოშობა. კონსტიტუციაში განხორციელებული ცვლილებების ფონზე ლგბტ პირებს ერთმევათ იმისა შესაძლებლობა, რომ რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდნენ, მიუხედავად ამისა, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დადგენილია პრაქტიკა პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლებას ფართოდ განმარტავს, რაც იძლევა იმის გარანტიას, რომ ოჯახური ცხოვრების ალტერნატიული ფორმები აღიარებული და დაცული იყოს სახელმწიფოს მიერ და გაუთანაბრდეს ქორწინებას. თუმცა, ქორწინების მარეგისტრირებელი საკანონმდებლო ნორმები საკანონმდებლო დონეზე არ განსაზღრავს სამოქალაქო პარტნიორობის რეგისტრაციის წესს და აღნიშნულ ინსტიტუტთან დაკავშირებულ უფლება-მოვალეობებს, რაც არ იძლევა იმის გარანტიას, რომ შეიქმნას მყარი საკანონდებლო გარანტიები ლგბტ პირთა ქორწინებისა და ოჯახური ცხოვრების დასაცავად. ამ პროცესში მნიშვნელოვანი როლია აკისრია, როგორც საკანონდებლო ორგანოს, პარლამენტს, აქტიური დისკუსია დაიწყოს ქმედითი ცვლილებების განსახორციელებლად, ასევე საკონსტიტუციო სასამართლოს, განმარტოს, ფაქტობრივი თანაცხოვრების არსებობის პირობებში იქნება თუ არა შესაძლებელი, პირებმა ისარგებლონ ქონებრივი უფლებებით, რაც ქორწინების ფორმალურად რეგისტრაციის პირობებში შეიძლება წარმოშობილიყო.

---

[56] იხ. ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შეთანხმება: http://parliament.ge/ge/ajax/downloadFile/34753/AA, 2/26/2019,